ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 39 (1325)

2-8 ოქტომბერი, 1992 წ.

## საარჩევნო ბლოკში „11 ოქტომბერი“ გაერთიანებულნი არიან:



### საქართველოს სახალხო ფრონტი

– თავმჯდომარე

**ნოდარ ნათაძე**



### საქართველოს რესპუბლიკური პარტია

–თავმჯდომარე

**ვახტანგ ძაბირაძე**



### „დას“-ი (დემოკრატიული არჩევნები საქართველოში)

– თავმჯდომარე

**რევაზ შავიშვილი**



### ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი

– თავმჯდომარე

**ირაკლი შენგელაია**

ამას წინათ ერთი მწერალი ქალბატონი მსაყვედურობდა, გაზეთი „საქართველო“ შოვინისტური მიმართულებისაათ. მაგალითისათვის დამისახელა ჩვენი გაზეთის მიმართება სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსთა საკითხისადმი. ეს წერილიც „შოვინიზმის“ მორიგი გამოვლინება გახლავთ...

გაზეთ „შიდა ქართლის“ რედაქციისათვის ერთ ოს „სწავლულს“, ვინმე ივანე ბაგაევს წერილი მიუწერია (იხ. გაზ. „იუჟნაია ოსეტია“, 1992 წ. 13 აგვისტო, № 64). ამ წერილის წამკითხველი იფიქრებს, რომ ოსი ივანე ცოტა არ იყოს აფრაკად არის, მაგრამ ამ კაცს ჭკუასუსტობა სულაც არ უშლის ხელს, კიდევ ერთხელ გააგიჟოს და ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღანთოს სამაჩაბლოში გადმოგუდანაბადებული ოსი ხალხი.

შერეკილი ვანო წერს: „ჩვენ ყველა ქართველ ნაციონალ-შოვინისტების ნაშრომებზე აღვიზარდეთ. ისინი მალავდნენ ოსი ხალხის ჭეშმარიტ ისტორიას. მაგრამ ცალკეულ პატიოსან მეცნიერებს სინდისმა არ გაუჭრა დაეფარათ რების ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე, მაგრამ იქაც არ ვუჟვარდით, მოსვენებას არ გვაძლევდნენ მეზობლები, მათ ვძულდით, არ ვიცოდით თუ საით წავსულიყავით. ასე ვატარებდით დღეებს სიმარტოვეში, თითქოს ციდან ჩამოვფრინდით.

ჩვენი ენა განსხვავდება სხვა ხალხების ენებისაგან. განსხვავდება ჩვენი მსოფლმხედველობაც, ჩვენი ხასიათი. ჩვენ გვაქვს საკუთარი თავისებურებები და ტრადიციები.

ჩვენი მიწებიდან გამოგვაგდეს მეზობლებმა. არაფერი არ დაგვიტოვეს მეზობლებმა, ალანებმა კი (ოსების წინაპრებმა) შეგვიბრალეს, შეგვიკედლეს კოლხეთის დაბლობში, მოგვცეს მიწები, მოგვეფერნენ. შეგვასწავლეს სამხედრო საქმე, გვაზიარეს საკუთარ კულტურას, წესჩვეულებებს, დაგვიცვეს გარეშე მტრებისაგან“.

ციტატის შემდეგ კმაყოფილი ვანო წერს: „ვფიქრობ კომენტარი ზედმეტია“-ო.

კომენტარი მართლაც აღარ სჭირდება ამ სიტყვებს. რომელი ოსიც „გ. ქიქოძის“ ასეთ „აღსარებას“ წაიკითხავს, უფრო მეტი

# რა დაწერა ასეთი გერონტი ქიქოძემ?

ისტორიული სინამდვილე... ისტორიული სინამდვილის დაფარვა შეუძლებელია...“

იმ ცალკეულ პატიოსან მეცნიერებში, რომელთაც სინდისმა არ გაუჭრათ დაეფარათ ისტორიული სინამდვილე, ბაგაევი გულისხმობს ჩვენს გამოჩენილ სწავლულსა და მოღვაწეს გერონტი ქიქოძეს.

რა დაწერა ასეთი გერონტი ქიქოძემ, ქართველთმოძულე ივანე რომ აღაფრთოვანა?

თურმე გ. ქიქოძეს ისეთი რამ დაუსტამბავს, მარტო ივანე კი არა, მთელი ოსი ხალხი მასზედ უნდა ლოცულობდეს.

- ბაგაევი მიმართავს „შიდა ქართლის“ რედაქციის მესვეურებს: „გაზეთ „საქართველოდან“ (1917 წელი) გადაბეჭდეთ სტატია „სამაჩაბლო“ მაგრამ იმავე გაზეთში ვერ შენიშნეთ გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის გერონტი ქიქოძის წერილი „ვინ ვართ?“ მოდით, დავხედოთ აქ მოყვანილ ერთ პატარა ნაწყვეტს“.

მაშ ასე, ოსი „სწავლული“, როგორც სწავლულს შეეფერება, ასახელებს წყაროს — გაზეთი „საქართველო“, 1917 წელი (კონკრეტულ ნომერს რატომღაც არ უთითებს...), ასახელებს წერილის ავტორს — გამოჩენილი მწერალი და მეცნიერი გერონტი ქიქოძე, შემდეგ კი გვთავაზობს ციტატს გ. ქიქოძის წერილიდან.

აი, ეს ამონარიდიც: „დღემდე არაა დადგენილი, თუ ვინ ვართ ჩვენ (ვიგულისხმებით ქართველები — ნ.გ.) და საიდან ვართ, რადგან დედამიწაზე არ გვყავს მონათესავე ხალხები. არ ვიცით საით მივყავართ ბედს. თუმცა, ამბობენ, რომ ვცხოვრობდით მდინაშემართებით იბრძოლებს უმადური ქართველი ოკუპანტებისაგან სამაჩაბლოს დასაცავად.

მერე რა, რომ გერონტი ქიქოძეს ეს სიტყვები არასოდეს დაუწერია, მერე რა, რომ ეს სიტყვები გაზეთ „საქართველოში“ არასოდეს დაბეჭდილა. ოსი „ბოევიკები“ 1917 წლის გაზეთ „საქართველოს“ კომპლექტის გადასათვალიერებლად თბილისს არ ეწვევიან და საჯარო ბიბლიოთეკის საშვის გამოწერაზე არ მოიკლავენ თავს.

ჰოდა, ეს ვითომ აფრაკი ივანე ითვალისწინებს ამ გარემოებას. მე თქვენ გეტყვით, თბილისელმა ოსმა სწავლულებმა, არ გასცენ პასუხი, ეს რა შეგითხზავს და მოგიჩმახავსო.

აი, ასე აგიჟებენ ოსებს ოსი „სწავლულები“, ქართველი ინტელიგენციის მეტისმეტად „დემოკრატიულ“ ნაწილს კი ოს კალმოსანთა სიყვარული ვერა და ვერ ამოუგდიათ გულიდან. ისევ მათი იმედი აქვთ და ინტელიგენტურად უმტკიცებენ ძმობას...

გაიგეთ ხალხნო, ბაგაევი სხვებს ჰგავს და სხვანი მათ. „ბოევიკებზე“, ოს მკვლელებზე მეტი დამნაშავენი მათი წამქეზებელი ოსი ინტელიგენციაა. გამონაკლისის სახით რამდენიმე ობიექტური კაცი, ალბათ ჰყავთ, მაგრამ ისინი იქ ამინდს ვერ შექმნიან.

ბაგაევის მსგავსნი საქართველოს შეგნებული მტრები არიან. მტრებთან ბრძოლა კი რატომ არის შოვინიზმი, აი, ამის გაგების უნარი არა და არ მომცა არსთა გამრიგემ.

**ნოდარ ბრიგალაშვილი**

# შეხვედრა უნივერსიტეტში

30 სექტემბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბლოკ „11 ოქტომბრის“ წარმომადგენლებთან გაიმართა სტუდენტებისა და პროფესორმასწავლებელთა შეხვედრა, რომლის ინიციატორებიც იყვნენ უნივერსიტეტის „პრესკლუბისა“ და სტუდენტთა დროებითი კავშირის წევრები.

დარბაზი იყო ზომიერად სავსე, დამსწრე საზოგადოება (ძირითადად სტუდენტობა) მოსული გახლდათ გულისა და სინდისის კარნახით; განწყობილება სუფევდა მშვიდი, კორექტული და უაღრესად საქმიანი.

შეხვედრაზე გამოსულმა სტუდენტებმა მოკლედ დაახასიათეს ბლოკში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციებისა და დეპუტატობის კანდიდატების ღვაწლი საქართველოში დემოკრატიისა და თავისუფლების დამკვიდრებისათვის. მათ სიხარულით აღნიშნეს ის გარემოება, რომ ბლოკში — „11 ოქტომბერი“ გაერთიანებულნი არიან ცენტრისტული და ზომიერი ძალები. აღინიშნა ისიც, რომ დღევანდელ დღეს კვლავ არსებობს იმის საშიშროება, რომ 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მივიღოთ ისეთივე ერთპარტიული პარლამენტი, როგორიც იყო 28 ოქტომბერს და გარეთ დარჩენ დემოკრატიული ძალები. სტუდენტებმა მოუწოდეს დამსწრე საზოგადოებას, ეს საბედისწერო შეცდომა რომ აღარ განმეორდეს, მომავალ არჩევნებში, მხარი დაუჭირონ ბლოკს „11 ოქტომბერი“.

უნივერსიტეტელ მასპინძლებს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს და მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხეს ბატონებმა: ნოდარ ნათაძემ, ირაკლი შენგელაიამ, თამაზ გამყრელიძემ, დავით ბერძენიშვილმა, ვახტანგ ხმალაძემ, ივლიანე ხაინდრავამ, გიორგი ხაინდრავამ და მამუკა კიკალეიშვილმა.

შეხვედრის შემდგომ ჩვენმა კორესპონდენტმა სახელდახელო ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ნათაძეს, რომელსაც აქვე გთავაზობთ.



## ნოდარ ნათაძე:

# იმედი მაქვს, რომ ეროვნული ძალები პარლამენტში უმრავლესობას შეადგენენ



**— ბატონო ნოდარ, 11 ოქტომბრის არჩევნებამდე ორიოდე დღე დარჩა, როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ასეა თუ ისე, იმედი მაქვს, რომ ეროვნული ძალები პარლამენტში უმრავლესობას შეადგენენ.

**— ბატონო ნოდარ, თქვენ ყოველთვის იყავით დახართ არჩევნების მომხრე. ცნობილია თქვენი პრინციპიც, რომ ხალხს, ამომრჩეველს რაც შეიძლება ფართო არჩევანი უნდა შესთავაზო. რატომ დაარღვიეთ ეს პრინციპი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საყოველთაო არჩევნების შემთხვევაში?**

— ზ. გამსახურდიასგან ერი მოელოდა თავისი საუკეთესო ოცნებების ასრულებას: ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებასა და დაცვას. რის საფუძველზე? არაფრის, ვინაიდან ლოზუნგებისა და მიტინგების გარდა ზ. გამსახურდიას არავითარი სხვა უნარი მანამდე არ გამოუვლენია. ჩემთვის, როგორც ზ. გამსახურდიას მცნობისთვის, ნათელი იყო, რომ იგი ამ იმედის გამმართლებელი არ იყო — არც თავისი ინტელექტისა და ნებისყოფის მიხედვით, არც თავისი მორალისა და პატრიოტული თავდადების მიხედვით. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ გამსახურდიას ხმათა უდიდეს უმრავლესობას მისცემდნენ და ისიც ძალიან კარგად მესმოდა, ამას რა მოჰყვებოდა. ამიტომაც უმჯობესად ჩავთვალე, ამომრჩეველს რაც შეიძლება ფართო არჩევანი ჰქონოდა თვალწინ, რათა საკუთარ არჩევანზე პასუხისმგებლობა შემდეგში მაინც ეგრძნო და ამ გრძნობას მომავალში, ახალი არჩევნების დროს გამომაფხიზლებელი და მამობილიზებელი როლი ეთამაშა.

ე. შევარდნაძისაგან ერი მოელოდა საქართველოს უიმედოდ ჩავარდნილი საგარეო პოლიტიკის ნორმალიზაციას, რაც უკვე მოხდა; მოელის საგარეო შემოტევებისაგან ჩვენი ქვეყნის ეფექტიან დიპლომატიურ დაცვას და ჩვენი კატასტროფულად დასუსტებული ეკონომიკის მკურნალობას საგარეო დახმარების მოპოვების გზით. მოელის, ამასთანავე (თუმცა საყოველთაო ერთსულოვნებით არა), ბანდოკრატიის და, საერთოდ, ქაოსის ალაგმვას მომავალში. ეჭვი მეპარება, რომ, ამასთან ერთად, მისგანვე მოელოდნენ სამართლიანობასა და დემოკრატიასაც ამ სიტყვების იმ აზრით, რომელიც, მაგალითად, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების პოლიციისა და პროკურატურის საქმიანობას განასხვავებს ყოფილი საბჭოთა კავშირის მილიციისა და პროკურატურის საქმიანობისაგან.

ამგვარად, მიმაჩნია, რომ ზ. გამსახურდიას ფიგურასთან დაკავშირებული მოლოდინისაგან განსხვავებით, ე. შევარდნაძის ფიგურასთან დაკავშირებული მოლოდინი რეალისტურია. ზოგ რასმე ხალხი მოელის, ზოგს — არ მოელის. ხალხმა იცის, რადარა შესაძლებლობებს შორის ახდენს არჩევანს. არჩევანი, ალბათ, ხმების 90—97 პროცენტით მოხდება. ვის აქვს უფლება ჩაერიოს ამ არჩევანში პირადად, თუკი არ შეუძლია (ამა და ამ ფაქტორების გამო), ე. შევარდნაძესავით მოიპოვოს პური, შაქარი, სწრაფი წარმატება გაეროში და ა.შ.? მე მგონი, ამის უფლება არ მაქვს.

რამდენჯერმე ვთქვი და ვიმეორებ: ჩვენი ხსნა შეეძლო და შეუძლია ჩვეულებრივ, გონიერსა და მტკიცე ხელისუფლებასაც ტრადიციული მეთოდებით. მაგრამ რატომ დავაყენოთ ეჭვის ქვეშ იმ არატიპიური მომგებიანი ვითარების გამოყენება, რომელიც დღეს შეგვექმნა?

**— თქვენი დამოკიდებულება შიდა ქართლისა და აფხაზეთის პრობლემებისადმი საყოველთაოდ ცნობილია. როგორ წარმოგიდგენიათ, რა კუთხით უნდა წარმართოს მომავალმა პარლამენტმა მუშაობა ამ პრობლემათა დასაძლევად?**

— მტკიცე და დამოუკიდებელი პოზიციით რუსეთის მიმართ. საჭიროა ჩვენი ძალების სწრაფი მობილიზება და განვითარება. ხელისუფლების აღდგენა აქედან გამომდინარე ყველა შედეგებითურთ.

**— ამ რამდენიმე თვის წინ თქვენ მიგიწვიათ ამერიკის ელჩმა საქართველოში. რას ეტყოდით მკითხველს ამ ვიზიტის შესახებ?**

— მე მგონი, ელჩს, ბატონ ბრაუნს აინტერესებს კონტაქტები პოლიტიკურ ჯგუფებთან. მისი ინტერესი ბუნებრივია. ჩემთვისაც მასთან საუბარი ფრიად საინტერესო იყო.

**— ბატონო ნოდარ, ტრადიციული შეკითხვით მინდა მოგმართოთ: დღეს რომ 12 ოქტომბერი ყოფილიყო და თქვენ არჩევნებში გაგემარჯვათ, რას ეტყოდით საქართველოს მოსახლეობას?**

— ვეტყოდი, რომ მდგომარეობა ძალიან მძიმეა, და შევთავაზებდი ხსნის კონკრეტულ ღონისძიებებს.

# ავთანდილ მარგიანი: „შევარდნაძე ჩვენი ჭკუისაა“

კვირას საინტერესო პაექრობის მომხრენი გახდნენ ჩოხატაურელი ამომრჩევლები. 17 საათზე შეხვედრას მართავდა საარჩევნო ბლოკ „მშვიდობის“ ხელმძღვანელობა. მას შემდეგ, რაც ბ-მა ვ. გოგუაძემ დარბაზში შეკრებილთ წარუდგინა ე. შევარდნაძის ნდობით აღჭურვილ პირად ჩოხატაურის ყოფილი პრეფექტი მარი (რამაც ამომრჩეველთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია), დარბაზში შევიდა ჩოხატაურში ამომრჩევლებთან შესახვედრად ჩასული დ. ბერძენიშვილი. მან ითხოვა სიტყვა და აუწყა შეკრებილთ, რომ შაბათს ბლოკმა „მშვიდობამ“ უარი თქვა „11 ოქტომბერთან“ სატელევიზიო პაექრობაზე. ჩოხატაურის ამომრჩევლებს კი მშვენიერი საშუალება ეძლეოდა ექსპრომპტად ეხილათ ამ ორი ბლოკის დაპირისპირება. „მშვიდობას“ წარმოადგენდნენ: ვ. გოგუაძე, რ. ბერიძე, გ.მამულია, ა. მარგიანი და სხვები. „11 ოქტომბერი“ წარსდგა ვ. ძაბირაძის, რ. შავიშვილის, დ. ბერძენიშვილის და ი. ჩავლეიშვილის შემადგენლობით.

„11 ოქტომბერმა“ აუხსნა ხალხს, რომ გულისწყრომას უნდა იწვევდეს არამარტო ე. შევარდნაძის ნდობით აღჭურვილ პირად „მშვიდობის“ მიერ „დანიშნული“ კანდიდატურა, არამედ თავად კანონდარღვევაც, რომ „მშვიდობა“ წარადგენს მას და თავს შევარდნაძის ბლოკად აცნობს ხალხს. დარბაზი გამხიარულდა, როცა ა. მარგიანმა თქვა, შევარდნაძე ჩვენი ჭკუის არისო (ამომრჩევლებიც და „11 ოქტომბრის“ წარმომადგენლებიც ე. შევარდნაძის ჭკუაზე შეუდარებლად უკეთესი აზრისანი იყვნენ). ბატონმა ა. მარგიანმა კვლავ მნგრეველი და ქვეყნის მომსპობი უწოდა ნ. ნათაძეს.

ჩოხატაურელი მწვანეები, სედპ-ს წევრები, რომ არაფერი ვთქვათ ფრონტელებზე, „რატომღაც“ არ აღმოჩნდნენ „მშვიდობის“ მომხრენი, რამაც ამომრჩეველთა უპარტიო ნაწილშიც ჰპოვა მხარდაჭერა და ქ-მა რუსუდან ბერიძემ დაღლილობა იგრძნო. „მშვიდობამ“ დარბაზი ნაადრევად დატოვა, „11 ოქტომბერი“ კი 19 საათამდე პასუხობდა ამომრჩეველთა შეკითხვებს.

გვიან დარბაზი დაიშალა და ამომრჩევლებმა შინ გასწიეს ერთი თავსატეხით ფიქრდამძიმებულებმა — რანაირად არის ნოდარ ნათაძე ქვეყნის ამომგდები და ავთანდილ მარგიანი შევარდნაძის ჭკუის ფარდი გონების პატრონი?

ამ ვრცელს დუნიაზე ასეთი გამოცანის პასუხის საიდუმლო, როგორც სჩანს ერთადერთმა კაცმა, მხოლოდ ბატონმა ავთანდილმა იცის...

# ბლოკი „11 ოქტომბერი"
## წინასაარჩევნო პროგრამიდან:
# ჯანდაცვა

ჯანდაცვის სისტემაში არსებული მდგომარეობა შეიძლება ცალსახად შეფასდეს როგორც კატასტროფული. ჯანდაცვის სისტემის სრული შეუსაბამობა საბაზრო ეკონომიკის პირობებთან, სამედიცინო კადრების უაღრესად დაბალი კვალიფიკაცია, მეტისმეტად მოძველებული სამკურნალო-დიაგნოსტიკური აპარატურა, ძველი კავშირების მოშლის ფონზე ფარმაკოინდუსტრიის ფაქტიური არარსებობა, მედიკამენტებისა და სამედიცინო აპარატურის ფასების ზრდა, სამედიცინო პერსონალის მეტად დაბალი შრომითი ანაზღაურება, კადრების დენადობა. აი, არასრული ნუსხა ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემებისა.

არსებული მდგომარეობის გამოსწორება, რა თქმა უნდა, ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმა მეტისმეტად დაგვიანდა.

ჯანდაცვის სისტემა რომ შესაბამისობაში მოვიყვანოთ საბაზრო ეკონომიკის პირობებთან, აუცილებელია საბიუჯეტო-სადაზღვევო სისტემაზე გადასვლა, რომლის დროსაც სამედიცინო დაწესებულებათა დასაფინანსებლად გამოიყენება ორი წყარო.

1. სახელმწიფო ბიუჯეტი;

2. სამედიცინო დაზღვევა, ანუ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების ხარჯების დაფარვა მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებასა, მკურნალობასა და დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი თანხები უნდა განისაზღვროს ეროვნული შემოსავლის არანაკლებ 10 პროცენტით. მიღებული თანხა ბევრად უფრო მცირე აღმოჩნდება განვითარებული ქვეყნების მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილ თანხებთან შედარებით, მაგრამ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში ეს ის მინიმუმია, რომელიც ასე თუ ისე შეაკავებს ჯანდაცვის სისტემის სრულ დეზორგანიზაციას.

სამედიცინო დაზღვევის ორ ფორმას გამოვყოფთ:

1. სავალდებულო სამედიცინო ანუ სოციალური დაზღვევა;

2. ნებაყოფლობითი (კერძო) სამედიცინო დაზღვევა.

დავიწყოთ ნებაყოფლობითი სადაზღვევო სისტემით, რომლის სრულიად უმტკივნეულოდ შემოღება საქართველოში დღესვე შეიძლება.

დასახელებიდან ჩანს, რომ დაზღვევის ამ ფორმის დროს ამოსავალია ნებაყოფლობითობა, ანუ სამედიცინო დაზღვევაზე ფულს იხდის ის, ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა გააჩნია. ამისათვის საქართველოში უკვე არსებობს სოციალური და ეკონომიკური ბაზისი. კერძო მრეწველები, კოოპერატივები, ფირმები, კომერციული სტრუქტურები, რომლებსაც მაღალი შემოსავალი აქვთ, სიამოვნებით გადაიხდიან თავიანთ თანამშრომელთა მაღალი დონის სამედიცინო მომსახურეობის ხარჯებს, თუკი მათ ამას ვინმე შესთავაზებს. კერძო სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც მოახდენენ ამ თანხების აკუმულირებას, შეეცდებიან მატერიალურად დააინტერესონ სამედიცინო დაწესებულებები, ექიმები, რათა მათ გააუმჯობესონ სამედიცინო დახმარების ხარისხი. მატერიალური დაინტერესება თავისთავად შექმნის კონკურენციის საფუძველს სამედიცინო დაწესებულებებს და ექიმებს შორის, რაც იქნება ყველაზე რეალური სტიმული სამედიცინო დაწესებულებებში კომუნალური და პროფესიული მომსახურების დონის ამაღლებისათვის. დღეს საქართველოში იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ რაც კანონით არ არის აკრძალული, ის დაშვებულია, უკვე მოქმედებს რამოდენიმე სადაზღვევო ორგანიზაცია, მაგრამ კანონის არარსებობის გამო მათი მდგომარეობა არამყარია და არ არის ლიმიტირებული.

სავალდებულო (სოციალური) დაზღვევის ცხოვრებაში გატარება საჭიროებს გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას.

დაზღვევის ეს ფორმა სავალდებულო უნდა იყოს საქართველოს ყველა მოქალაქისათვის და მისი განხორციელება უნდა ხდებოდეს სამედიცინო დაზღვევის საბაზო პროგრამების შესაბამისად. ამასთან გარანტირებული უნდა იყოს სამედიცინო მომსახურების ერთნაირი დონე ყველა მოქალაქისათვის მათი სოციალური სტატუსის მიუხედავად.

სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა საჭიროა განხორციელდეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნით სამედიცინო დაზღვევის სალაროების (გნებავთ „ჯანმრთელობის სალაროს") საშუალებით, რომლებიც იქმნება ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ.

გარდა იმისა, რომ საჭიროა კანონი სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის შესახებ, უნდა დამუშავდეს მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები. ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

დებულება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის შესახებ;

დებულება დაზღვევის სალაროს შესახებ;

სამედიცინო დაზღვევის საბაზო პროგრამა;

სამედიცინო მომსახურების ტარიფები (განფასების ნუსხა);

დებულება სამედიცინო დაზღვევის წესისა და მოცულობის შესახებ;

სადაზღვევო პოლისის ფორმა და ინსტრუქცია მისი შემოღების შესახებ და ა.შ.

მხოლოდ დაზღვევის ამ ორივე ფორმის ამოქმედება შეცვლის სასიკეთოდ ჯანდაცვის სისტემაში არსებულ მდგომარეობას, შესაბამისობაში მოიყვანს მას საბაზრო ეკონომიკის პირობებთან, გააუმჯობესებს სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მნიშვნელოვნად გაზრდის სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებას.

მთლიანადაა შესაცვლელი სამედიცინო განათლების სისტემა.

სამედიცინო ინსტიტუტებში ბოლო სამი წლის განმავლობაში მიღებული სტუდენტების რიცხვი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამ ათეულზე მეტი, სამედიცინო ინსტიტუტის გახსნა, საქართველოში ექიმთა საერთო რაოდენობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ 1996—1997 წლებში საქართველოში 10—15 ათასი უმუშევარი ექიმი იქნება. აქედან გამომდინარე და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამედიცინო განათლების სისტემის შეცვლა და ექიმთა შემდეგი წოდებების დაწესება:

1. ექიმი-ბაკალავრი — დამოუკიდებელი სამკურნალო მოღვაწეობის უფლების გარეშე — ეს წოდება მიეცემა ფიზიკურ პირს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის დამთავრებისა და შესაბამისი სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ამ სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომის საფუძველზე;

2. ექიმი — დამოუკიდებელი სამკურნალო მოღვაწეობის უფლებით:

ა/ ზოგადი პრაქტიკის ექიმი — ეს წოდება მიეცემა ექიმ-ბაკალავრს, ამ სფეროში ორწლიანი რეზიდენტურის დამთავრებისა და შესაბამისი სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიღებული სერტიფიკატის საფუძველზე;

ბ/ დარგობრივი სპეციალობის ექიმი — ეს წოდება მიეცემა ზოგადი პრაქტიკის ექიმს შესაბამის სპეციალობაში რეზიდენტურის დამთავრებისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიღებული სერტიფიკატის საფუძველზე.

მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი სამკურნალო მოღვაწეობის უფლების მქონე ექიმის პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობის, არასათანადო შესრულების ან დარღვევისათვის იურიდიული და მატერიალური პასუხისმგებლობა მასთან ერთად უნდა დაეკისროთ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შემავალ იურიდიულ პირებს, რომელთაც გასცეს შესაბამისი სერტიფიკატი.

მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მოსახლეობის წამლებით მომარაგების საქმეში. სსრკ-ს დაშლასთან ერთად გაწყდა კავშირები ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებთან, მკვეთრად გაიზარდა მედიკამენტების, სამედიცინო აპარატურის ფასი. შეიძლება ითქვას, რომ ფარმაკოინდუსტრია თითქმის არ არსებობს თვით საქართველოში. ამიტომ ძველი კავშირების აღდგენასა და დასავლეთის ქვეყნებთან ახალი კავშირების ძიებასთან ერთად საჭიროა მაქსიმალური საგადასახადო შეღავათები დაუწესდეს მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის მწარმოებლებს, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ტექნიკის განვითარების სტიმულირება.

დასასრულს დავსძენთ, რომ ჩვენს მოსაზრებებს ჯანდაცვის სისტემის გარდაქმნის შესახებ, ჩვენთან ერთად იზიარებენ სრულიად საქართველოს ექიმთა ასოციაციისა და სახელმწიფოს საბჭოს ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის კომისიის წევრები.



მოგელი აკაკის ძე ტყებუჩავა — დაიბადა ქ.ფოთში 1955 წლის 3 იანვარს, მუშის ოჯახში. ფოთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

ამჟამად მუშაობს ქალაქ ფოთის საზღვაო ვაჭრობის საწარმოოს დირექტორად. არის საქართველო-რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ფირმის გენერალური დირექტორი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მოგელი ტყებუჩავა უპარტიოა. კანდიდატად წარდგენილია ბლოკ „11 ოქტომბერი"-ს სიით და კენჭს იყრის N 8 (სამეგრელოს) საარჩევნო ოლქში.

## მოგელი ტყებუჩავა:
# ყველაფერს მოევლება და ეშველება...

**— ბატონო მოგელი, რა მდგომარეობაა დღეისათვის ფოთში? როგორი განწყობით ხვდებიან ფოთელები 11 ოქტომბრის არჩევნებს?**

— ფოთში დღეისათვის, შეიძლება ითქვას, სტაბილური ვითარებაა. ჩემის აზრით საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ფოთელთა დიდ ნაწილს კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს ჩვენი მონაწილეობა არჩევნებში, ვინაიდან ქალაქი არის საქართველოსთვის საარსებო მნიშვნელობის რეგიონი, რომელიც დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ასე რომ, მე მგონი, 11 ოქტომბერს ფოთელთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

**— როგორია ბლოკი „11 ოქტომბერი"- ს რეიტინგი თქვენს ქალაქში?**

— ბოლო პერიოდში, ბლოკს „11 ოქტომბერი", შეიძლება ითქვას, მთელს საქართველოში და მათ შორის ფოთშიც მაღალი ავტორიტეტი აქვს. ფოთელები კარგად იცნობენ ბლოკში შემავალ პარტიებს, დეპუტატობის კანდიდატებს; იცნობენ მათ პროგრამას, ყველაზე მეტ ავტორიტეტს, შეიძლება ითქვას, ბლოკს სძენენ ბატონები: ნოდარ ნათაძე, ირაკლი შენგელაია, პაატა კოლუაშვილი, თამაზ გამყრელიძე, რომან გოცირიძე და ჩვენს ბლოკში გაერთიანებული სხვა პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწენი.

ამდენად, ქალაქ ფოთში ბლოკს „11 ოქტომბერი" ისეთივე მაღალი რეიტინგი აქვს, როგორც თბილისსა და სხვა ქალაქებში.

**— თქვენ სავსებით მართებულად შენიშნეთ, რომ ფოთი არის საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეგიონი. ბატონო მოგელი, რა პრობლემები დგას დღეს ფოთის ნავსადგურის წინაშე, რა უჭირს თუ ულხინს მას?**

— ფოთის ნავსადგურში ისევე როგორც ნებისმიერ სამეურნეო თუ სოციალურ სფეროში, პრობლემები არის. ინტერვიუს ფარგლებში შეუძლებელია ყველა იმ სპეციფიკურ პრობლემებზე საუბარი, რაც ჩვენი სამსახურის წინაშე დგას. ფოთსაც და მის ნავსადგურსაც, უჭირს და ულხინს ის, რაც საქართველოს უჭირს და ულხინს. ეს ზოგადად. კონკრეტულად კი ჩვენი საწარმო ნავსადგურის ხელმძღვანელობასთან ერთად ერთობლივ მუშაობას ეწევა ამ პრობლემათა დასაძლევად. თუ საქართველოში ღვთის შეწევნით მშვიდობა დამყარდა და რიგიანი პარლამენტიც აირჩა — დაუძლეველი და მოუგვარებელი არაფერია — ყველაფერს ეშველება და მოევლება.

**— როგორც ცნობილია, ფოთში თავდაცვის სამინისტროს განზრახული ჰქონდა სამხედრო-საზღვაო სკოლის გახსნა? რა ბედი ეწია ამ ჩანაფიქრს?**

— მე თავად ვესწრებოდი თათბირს, რომელსაც თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბატონი ცხაკაია და საზღვაო ფლოტის სარდალი, ბატონი ჯავახიშვილი წარმართავდნენ. მეტად საქმიანი შეხვედრა იყო. კონკრეტული საკითხებიც ფიგურირებდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ცოტა ხანში აფხაზეთის ომი დაიწყო. ისევდაისევ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სკოლა ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ფოთი ერთ-ერთი ქალაქი იყო, საიდანაც ხდებოდა ჩვენი დესანტის გადასხმა აფხაზეთის ცხელ წერტილებში. ჩვენი საწარმო აქტიურად ეხმარებოდა ქართველ მეომრებს სურსათითა და სხვა პროდუქტებით.

**— აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ხომ არ ყოფილა დივერსიის მცდელობის შემთხვევები ნავსადგურში?**

— იყო მცდელობა. ორი ჩეჩენი და ორიც დაღესტნელი მოქალაქე დავაკავეთ. ახლახანს კიდევ ერთი გადამთიელი შეიპყრეს, რომელსაც სხვადასხვა ასაფეთქებელი ნივთიერებები აღმოაჩნდა. ყველანი გადმოგზავნილი არიან მათი ვინაობის და იმათი ვინაობის დასადგენ-დასაზუსტებლად, ვინც ისინი შემოგზავნა მტრული ზრახვებით.

იყო ერთი შემთხვევა, როცა ნავსადგურის ბალანსზე რიცხული კომეტა — 51 გაიტაცეს ე.წ. აფხაზმა გვარდიელებმა. ჩვენი მძევლები დაამცირეს და შეურაცხყვეს. მართალია მძევლები მოგვიანებით გაანთავისუფლეს, მაგრამ კომეტა ამჟამადაც მათ აქვთ.

**— სოხუმის სანაოსნოს ხელმძღვანელობასთან თუ გაქვთ რაიმე კავშირი?**

— არავითარი ურთიერთობა,, აღარ არსებობს. ომმა ყველაფერი შეცვალა. მე რამდენადაც ვიცი, იყო ბატონ გია ყარყარაშვილის განკარგულება, რომ სოხუმის ნავსადგურის ყველა რიცხული ერთეული გადაცემოდა ფოთის ნავსადგურს. მაგრამ ეს განკარგულება არ შესრულებულა.

**— დღეს რომ 12 ოქტომბერი ყოფილიყო და თქვენ არჩევნებში გაემარჯვათ, რას ეტყოდით ამომრჩეველს, საქართველოს მოსახლეობას?**

— ყველა შემთხვევაში ვეტყოდი და ვუსურვებდი ერთ რამეს, რომლის გარეშეც ცხოვრება შეუძლებელია — ურთიერთნდობას და ურთიერთთანადგომას. თუ ეს ფაქტორები წინა პლანზე არ წამოიწია, ვერცერთ დარგში ვერ მივაღწევთ შედეგებს.

მსურს, ჩვენი ქვეყანა ერთიანად, მთლიანად, მტკიცე მუშტად შეკრული წარსდგეს მსოფლიოს თვალწინ. მითუმეტეს არსებობს წარმდგენელი და მეგზური — ბატონი ედუარდ შევარდნაძის სახით.მაგრამ დღეს თორმეტი ოქტომბერი არ არის და ამიტომ ვთხოვ საქართველოს მთელ მოსახლეობას და ჩემი კუთხის მცხოვრებთ, რომ საარჩევნო ურნებთან მისვლა არ დაიზარონ, რადგან არჩევნების ჩატარებაზე ჰკიდია ჩვენი ყოფნა-არყოფნა.

ესაუბრა
კობა ლიკლიკაძე

## გოგი სორდია:
# „ხალხი სახელმწიფოსაგან ელოდება დაცვას“



გოგი სორდია – დაიბადა 1967 წელს, ინჟინერ-ეკონომისტი, ჩხოროწყუს რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. 1988 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშია, იყო ჩხოროწყუელ სტუდენტთა მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, 1989 წელს არჩეული იქნა ჩხოროწყუს რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის წევრად, შემდგომ მის თავმჯდომარედ. ამჟამად არის სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი. გოგი სორდია დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ბლოკ „11 ოქტომბრის“ საარჩევნო სიით და კენჭს იყრის მე-4 (ქვემო ქართლის) საარჩევნო ოლქში.

**თქვენი აზრით, რას ნიშნავს საქართველოსთვის 11 ოქტომბრის არჩევნები?**

– არჩევნების აუცილებლობაზე და მნიშვნელობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩემის მხრივ, ერთ რამეს დავაკონკრეტებდი: არჩევნების არჩატარება ნიშნავს საკუთარი სიცოცხლის უარყოფას. ამას გააჩნია ერთადერთი ახსნა: ხალხმა ყველას თუ არ მიუჩინა თავისი ადგილი, ქვეყანას ქაოსი და ანარქია წალეკავს. სამწუხაროდ, დღეისათვის ჩვენში ისეთი პრეცედენტი, როცა ხალხის დაცვა ევალება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს, რომლებისგანაც ხალხი თვითონ არის დასაცავი. სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების მიღებას უნდა მოსდევდეს მისი აუცილებელი შესრულება. ჩემის აზრით ეს ფუნქციები უნდა შეასრულოს მომავალმა პარლამენტმა.

**– ბატონო გოგი, რამ გამოიწვია, რომ თქვენ კენჭს იყრით ქვემო ქართლის N 4 საარჩევნო ოლქში, არადა ცნობილია, რომ ხართ ჩხოროწყუს რაიონის მკვიდრი და ამ რაიონში ასრულებდით გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას.**

– სანამ მიზეზზე მოგახსენებდეთ, მინდა ერთ რამეზე გავამახვილო თქვენი ყურადღება: არჩევნები ტარდება როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით. პირველის შემთხვევაში ამომრჩეველი უშუალოდ პიროვნებას აძლევს ხმას, მისი ყველა თვისებების გათვალისწინებით, ხოლო როცა პარტიულ სიებზეა საუბარი, ამომრჩეველი იმ პარტიაზე ან ბლოკზე აჩერებს ყურადღებას, რომელიც მისი აზრით, რეალური ძალა იქნება საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ამ შემთხვევაში ამომრჩევლის ცნობიერებაში აღიბეჭდება რაღაც ერთიანი გუნდი და არა რომელიმე კონკრეტული პიროვნება. შესაძლებელია მოსახლეობის მიერ ბლოკ „11 ოქტომბრისადმი“ სიმპატია სწორედ ამანაც განაპირობა.

ასე რომ, უნდა ვთქვათ, რომ მე კი არ ვიყრი კენჭს ქვემო ქართლის საარჩევნო ოლქში, არამედ თვით ბლოკი „11 ოქტომბერი“. თვით სახალხო ფრონტმა საჭიროდ ჩათვალა ვყოფილიყავი ბლოკის საარჩევნო სიაში, N 4 საარჩევნო ოლქში. ეს უფრო მეტად გამოიწვია საარჩევნო დებულების თანახმად არსებულმა წინააღმდეგობამ: თვით თანამდებობრივი მდგომარეობის შეუთავსებლობამ დეპუტატობის კანდიდატობასთან. ჩემთვის თანამდებობისაკენ სწრაფვა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. გადადგომასაც ვაპირებდი, რომ კენჭი ჩემს რაიონში მეყარა, მაგრამ ყველაფერი შეცვალა გამგეობის თავმჯდომარის ბატონ კანდიდ გოგუას მკვლელობამ. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც გადადგომა დანაშაულიც კი იქნებოდა.

**– იქნებ ისიც გვითხრათ, როგორი ვითარებაა სამეგრელოში და კერძოდ, თქვენს რაიონში?**

– წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით სამეგრელოში ბოლო პერიოდში არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ მდგომარეობა სამეგრელოს მთელ რიგ რაიონებში კვლავ დაძაბულია. ჩხოროწყუს რაიონში ამჟამად სრული ქაოსი და ანარქიაა. უკვე თითქმის ერთი თვეა, რაც რაიონში პურის ფქვილი გამოილია. მოსახლეობაზე ყოველ საღამოს ხდება თავდასხმები ფულის გამოძალვის მიზნით. ღამე რაიონის მოსახლეობას არ ძინავს, ყველა ელოდება „მორიგ“ თავდასხმას. არადა სახლ-კარის მიტოვებასაც ვერ შეჰგუებია. რაიონის ხელმძღვანელობა და მილიცია პარალიზებულია. სიტუაციას ფლობენ ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ჯგუფები ადგილობრივ კრიმინალებთან ერთად.

მოვლენების ასეთ განვითარებას ხელი შეუწყო ხელისუფლების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა. მხედველობაში მაქვს სამეგრელოში სახელმწიფო საჯარისო ფორმირებების შესვლისა და შემდგომ გამოსვლის პროცესები, არაფერს არ ვამბობ დისლოკაციის პერიოდში მათ „სტრატეგიულ“ მოქმედებებზე. დავძენდი მხოლოდ ერთს: პირველ რიგში უნდა გამოაშკარავდეს და დაისაჯოს სახელმწიფო საჯარისო ფორმირების ყველა ის მონაწილე, ვინც ნებისმიერი ფორმით დანაშაული ჩაიდინა სამეგრელოს მოსახლეობის წინაშე. ხალხი სახელმწიფოსაგან ელოდება დაცვას და არა ძარცვას. მდგომარეობის სტაბილიზაცია თუ როგორ უნდა მოხდეს, ეს სახუმარო თემა არ არის. სამწუხაროდ, ყველაფერთან ერთად პრესითა და ტელევიზიით ფაქტების დემონსტრირებამაც შეუწყო ხელი მოვლენების ამგვარ განვითარებას. ისე კი, ცხადია, რომ სახელმწიფომ თავისი ხალხი უპატრონოდ ასე „უსასრულოდ“ არ უნდა მიატოვოს.

**– რა პრინციპით ყალიბდება რაიონში აღმასრულებელი ხელისუფლება და როგორ ფიქრობთ, რანაირი პრაქტიკა უნდა დავამკვიდროთ?**

– მე ვიტყოდი, რომ ჩხოროწყუს რაიონის სინამდვილეში ჩემთვის გაუგებარია აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პრინციპი. მე არ ვიცნობ, არც სამთავრობო და არც სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ დებულებებს, რომლის თანახმადაც ყალიბდებოდეს აღმასრულებელი ხელისუფლება ადგილებზე. ჩემი არ ცნობა შეიძლება გარკვეული მიზეზებით იყოს განპირობებული, მაგრამ რაიონში ისინი არ გამოყენებულა. ერთი პერიოდი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში ხელისუფლებას ირჩევდა რაიონის აქტივი, შემდგომ კი გადაწყვეტილებებს ამტკიცებდა რესპუბლიკის მთავრობა. სულ ახლო წარსულში საზოგადოება დიფერენცირდებოდა კლასებად, რასაც დამეთანხმებით, კარგი შედეგი არ მოჰყოლია. როცა ვიტყვით, რომ არსებობს აქტივი, მაშინ ბუნებრივია არსებობს პასივი. ახლა მიდით და ნებისმიერ ჩხოროწყუელს უთხარით, რომ შენ ხარ პასივი და არჩევნებში მონაწილეობას ნუ მიიღებთ-თქო. თანაც, თქვენ წარმოიდგინეთ, აქტივში თავაითი თავს რაცხენ ყოფილი ფუნქციონერებიც დღეს არსებულ სამეურნეო მაფიასთან ერთად. სასურველია, რაიონის ხელმძღვანელი ირჩეოდეს საყოველთაო ფარული კენჭისყრით. არჩევნების დღეს არსებული ფორმის შემოღება და დამკვიდრება ბევრ არასასიამოვნო შედეგებამდე მიგვიყვანს. გარკვეულ ჯგუფს არ უნდა შევუქმნათ პატარა შესაძლებლობაც კი ხელისუფლების თავისი მოსაზრებით წარა-მარა ცვლისა. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების – გამგეობის არჩევა უფრო პროგრესულია, ვიდრე ე.წ. აქტივზე მისი დაკისრება, მაგრამ აქაც არა ვართ დაზღვეული ტენდენციურობისაგან. პარლამენტის არჩევნების შემდეგ ყველა რაიონისა და ქალაქის ხელისუფლების არჩევა უნდა მოხდეს პირდაპირი, ფარული კენჭისყრით, რაიონის მმართველობის უმაღლესი ორგანო უნდა იყოს საბჭო ან მუნიციპალიტეტი, რომელიც პარალელურად აირჩევა და ერთგვარად შეასრულებს მერის – ხელმძღვანელის მაკონტროლებელ ფუნქციას თვით მისი გადაყენების უფლების ჩათვლით. სასაცილოა, რომ დღეს გამგეობის შემადგენლობას მინისტრთა კაბინეტში დასამტკიცებლად წარადგენს გამგეობის თავმჯდომარე. აქ უკვე ცხადია, რომ გამგეობა თავმჯდომარის დანამატია და არა კოლექტიური მართვის ორგანო.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღესაც გამგეობის თავმჯდომარე, ისე როგორც რაიკომის მდივნები და პრეფექტები რაიონისა და ქალაქების ბატონ-პატრონები არიან. მათზე კონტროლის არავითარი მექანიზმი არ არსებობს. ან ვინ უნდა აკონტროლოს, როცა ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები უშუალოდ მისი წინადადებით ინიშნება.

პარლამენტმა მომავალში უნდა შეცვალოს ასეთი სტრუქტურული დამოკიდებულების მექანიზმი და ამასთან უნდა მიიღოს საკანონმდებლო აქტები, რომლის საფუძველზე, როგორც „ზემოთ“ ისე „ქვემოთ“ ერთმანეთს გაემიჯნება აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.

დღეს ადგილობრივი ხელისუფლების ფორმირების არსებულ წესს, მოჩვენებლად იყენებენ ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ჯგუფები, როცა საქმე ეხება ხელისუფლებასთან ეკონომიკურ საკითხებზე შეუთანხმებლობას ან სახელმწიფოს მხრიდან ფიზიკურ უსაფრთხოებას.

**– როგორია ბლოკ „11 ოქტომბრის“ გამარჯვების შანსი არჩევნებში და საერთოდ, როგორი პარლამენტი იქნებოდა საქართველოსთვის უმჯობესი?**

– გამარჯვების შანსზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით ნაადრევია, რადგანაც წინა არჩევნების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საქართველო ჯერ-ჯერობით ამომრჩევლის ფორმირების პერიოდში იმყოფება. არჩევნების შედეგებზე ზოგჯერ ისეთი ფაქტორები ახდენს გავლენას, რომ – ყოვლად უზნეოა ამა თუ იმ ბლოკის ან პარტიის მიერ ბატონ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური კაპიტალის გამოყენება. მე მგონია, რომ ამომრჩეველი ამგვარ პარტიებს თვითონ განსჯის. ისტორიამ ამომრჩეველი ანალოგიური ნაბიჯისათვის დასაჯა. ისე რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ბლოკმა „11 ოქტომბერმა“ თავისი სიტყვა უნდა თქვას.

სასურველია, რომ მომავალ პარლამენტს არ ჰყავდეს მმართველი პარტია ან ბლოკი, საქართველო ჯერ ამისათვის მზად არ არის. მე მგონი არჩევნების შედეგიც სასურველი იქნება.

**– ბატონო გოგი, რას ეტყოდით ხალხს, დღეს რომ 12 ოქტომბერი იყოს და თქვენ არჩევნებში გაგემარჯვათ.**

– ხალხი, ბოლო პერიოდში გამართულ ყველა არჩევნებში, მოტყუებული აღმოჩნდა. არჩეულთა უმრავლესობამ არა თუ ვერ გაამართლა დაპირებები, არამედ დანაშაულიც კი ჩაიდინა ხალხის წინაშე, ამიტომაც ხალხი, როგორც ამომრჩეველი, ერთგვარად ინდიფერენტულია. სწორედ ამიტომაცაა, რომ არჩევნებში ყურადღება გამახვილებული იქნება პიროვნების სიმპატიებზე და არა პარტიათა თუ ბლოკთა წინასაარჩევნო პროგრამაზე. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენმა ბლოკმა უნდა დაამკვიდროს დაპირებული პროგრამების შესრულება, რაც ხელს შეუწყობს მომავალში ხალხის, როგორც პოტენციურ ამომრჩევლად ჩამოყალიბებას.

ახლადარჩეულ პარლამენტს დიდი მუშაობა ელის. მას ნამდვილად ტრაგიკული მემკვიდრეობა ერგო. მან პირველ რიგში უნდა შეძლოს ზნეობის დეფიციტის აღმოფხვრა და ბევრი და ბევრი სხვაც–

ესაუბრა ლუკა მაკაბელი

# «არჩევნები საუკეთესო სკოლაა ერის გამოღვიძებისათვის»

დიდი ქართველი მოძღვრისა და განმანათლებლის, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის უმდიდრეს პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში წმინდა ეროვნული პრობლემების, ზოგადად ენის, აგრეთვე დედაენის, სწავლა-აღზრდის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის ძირითად, საკვანძო საკითხების განხილვა-გაანალიზებასთან ერთად, არაერთი საყურადღებო მოსაზრება გვხვდება არჩევნებისა და საარჩევნო სისტემის შესახებ. მართალია, ისინი თითქმის საუკუნის წინათ გამოქვეყნდა ქართულ-რუსული დემოკრატიული პრესის ფურცლებზე, მაგრამ დღეს, როდესაც კარზეა მომდგარი არჩევნები, ვფიქრობ, სულმნათი იაკობის მიერ შთამომავლობისათვის ერთგვარ ანდერძად დატოვებული ამ შეხედულებების უმრავლესობა კვლავაც აქტუალურად ჟღერს და როგორც დეპუტატობის კანდიდატებისათვის, ასევე ამომრჩევლებისათვისაც მას ჯერაც არ დაუკარგავს ეთიკურ-ზნეობრივი მნიშვნელობა.

ი. გოგებაშვილი არ მალავდა და საჯაროდ აცხადებდა, რომ: „... პარლამენტი დიდი ღვთის წყალობაა...“ (ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. IV, გვ. ) და ამდენად, საზოგადოების ღირსეული წევრებით მისი დაკომპლექტებისათვის აუცილებელია სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული საყოველთაო-სახალხო საარჩევნო სისტემა და არჩევნების ჩატარების მკაცრად რეგლამენტირებული ფორმა. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „საარჩევნო წესი ძვირფასია ჯერ იმით, რომ ჩინებული ნაყოფი მოაქვს: ერი ირჩევს საუკეთესო შვილთ საქმის კეთილად წარმართვისათვის. მაგრამ მეორე სიკეთე კიდევ უფრო დიდია. არჩევნები საუკეთესო სკოლაა ერის გამოღვიძებისათვის, გონების განვითარებისათვის, კულტურის გაძლიერებისათვის, საზოგადო მისწრაფებათა აღორძინებისათვის. კიდეც ამიტომაა სძულს საარჩევნო უფლება ბიუროკრატიას, რომელიც სულ იმასა ცდილობს და ნატრობს, რომ ხალხი მუდამ სთვლემდეს, მუდამ ბურანსა და ძილში იყოს, არასოდეს არ გამოიღვიძოს და მონურად ემსახუროს ბიუროკრატიასა“ (ტ. IV, გვ. 160). გარდა ამისა, სულმნათი მოძღვარი განსაკუთრებით უსვამდა რა ხაზს ერისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საარჩევნო კამპანიის მნიშვნელობას, დასძენდა, რომ დემოკრატიული პრინციპებით ჩატარებული არჩევნების შედეგად „... არჩეული პირები გვცვლიან ჩვენ საზოგადოების საქმეების წარმოებაში, ჩვენ მათ გადავცემთ ჩვენი უფლებების ნაწილს, ისინი წარმოადგენენ ჩვენს რწმუნებულებს და ამიტომ ჩვენ პრინციპული თვალსაზრისით ძალიან დაინტერესებული ვართ იმით, რომ არჩეული იქნან სავსებით ღირსეული პირები, რომლებიც დაწესებულების საქმეებს წარმართავენ იმავე აზრითა და მიმართულებით, რითაც ჩვენ თითონ წარვმართავდით მათ, ამ საზოგადოებრივი დაწესებულებების საკეთილდღეოდ, მისი ინტერესების შესაბამისად“ (ტ. IV, გვ. 237).

„დედაენისა“ და „ბუნების-კარის“ ავტორს მტკიცედ სჯეროდა, რომ: „ერის, საზოგადოების, სამწყსოს სიკეთე მოითხოვს, რომ გამგედ, მმართველად იყვნენ საუკეთესო მამულიშვილნი, და ამისათვის-კი არჩევანია საჭირო. რამდენადაც ბიუროკრატიულს წეს-წყობილებაში უარესების დანიშვნა აუცილებელია, იმდენად დემოკრატიულს რეჟიმში საუკეთესოების არჩევა უზრუნველყოფილია“ (ტ. IV, გვ. 48). აქვე, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იაკობი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დეპუტატობის კანდიდატის [illegible] და აქედან გამომდინარე, [illegible], რომ არჩევნების დროს „...ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს თვითეული კანდიდატი საქმის გარემოებას, გაითვალისწინოს თავისი ღირსებანი და ნაკლულევანებანი, და, თუ ეჭვი დაებადოს თავის ძალისა და ღონის შესახებ, ცხადად ცნოს უპირატესობა თავის მოცილესი, ვაჟკაცურად დაუთმოს ამ უფრო ღირსეულს... ადგილი და ამოარჩევინოს ხმათა უდიდესი უმრავლესობით“ (ტ. III, გვ. 386).

დღესაც ცხოველმყოფელურად ჟღერს დიდი მამულიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1901 წელს ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „საზოგადო ასპარეზზედ მომქმედი ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულს წადილს და იმარჯვებს, როდესაც მას გამორკვეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულის მიმართულებით და ამასთან ერთად მხნედ ახორციელებს ამ თავისს მიმართულებას, პროგრამასა“ (ტ. III, გვ. 244).

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკას მეტად მძიმე ხანა უდგას, იმდენად მძიმე, რომ 11 ოქტომბრისათვის დანიშნული არჩევნები, დიახ, ის არჩევნები, რომლის ჩატარებასა და შედეგებზეც დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი ბედ-იღბალი, მისი მერმისი, ჩვენივე გზააბნეული თანამოძმეების მიერ დაკავებული მოღალატური პოზიციების შედეგად გარკვეული საფრთხის წინაშეა. ვფიქრობთ, სულმნათი იაკობი ჩვენს სინამდვილეს რომ მოსწრებოდა, არ დაებადებოდა ეს რიტორიკული კითხვა: „... განა ქართველთა შორის შეიძლება მოიპოვებოდეს იმისთანა მახინჯი სულით და გულით, რომ თავისი ღვიძლი ერის სიკვდილი უნდოდეს?“ (ტ. III, გვ. 338). დღევანდელ ექსტრემალურ ვითარებაში საქართველოს მთელ შეგნებულ მოსახლეობას მართებს გონიერება, შექმნილი სიტუაციის საღად გააზრება და ქვეყნისადმი მამულიშვილური ერთგულების გამოვლენა, რათა ჩვენს სამშობლოს თავიდან ავაცილოთ გარდაუვალი კატასტროფა. ი. გოგებაშვილის თქმისა არ იყოს: „... დიდი მხნეობა, დაუძინებელი ბრძოლა არსებობისათვის, დიდი სიფრთხილე, დიდი წინ-დახედულობა და დიდი პოლიტიკური ტაქტიკაა საჭირო ჩვენთვის, რათა თავი დავაღწიოთ საშინელს კრიზისს, რომელშიაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით“ (ტ. II, გვ. 452). რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ამომრჩევლებს, მათ მოკრძალებით შევახსენებთ ნეტარხსენებული მოძღვარის სიტყვებს: „... ქართველობას არც სომხებისათვის, არც რუსებისათვის, არც თათრებისათვის და არც სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურს. ითხოვს მხოლოდ, რომ მას მოუწყონ იმავე საწყაულით, რომლითაც იგი უწყავდა სხვებს... და არ ისარგებლონ უდიერი ეგოიზმით, შოვინისტურად იმ კრიზისით, რომელსაც ეხლა განიცდის საქართველო“ (ტ. IV, გვ. 376). ვიმედოვნებთ, რომ იაკობის მიერ თითქმის საუკუნის წინათ წარმოთქმული ეს მოწოდება არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რომ ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გამოავლენს თავის კეთილ ნებას, პოლიტიკური მოწიფულობას, ყურად იღებს ი. გოგებაშვილის დარიგებას: „დროა შევიგნოთ ჟამთა ცვლილებანი, ჩვენც შევიცვალნეთ შესაფერად და დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ადგია ყოველი სალი და მომავლიანი ერი“ (ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 180), და 1992 წლის 11 ოქტომბერს საარჩევნო ყუთთან მისული სწორ არჩევანს გააკეთებს და ხმას მისცემს საქართველოს ღირსეულ შვილებს.

გიორგი გაგუნია

# „დეპუტატი ხალხის რჩეულია!“

დიახ, ეს ლოზუნგური შეგონება კომუნისტებისდროინდელია, როცა ხალხი „ერთსულოვნად, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში 99,99 პრო-ცენტით“ „ირჩევდა“ ცეკაში შერჩეულ, უალტერნატივო კანდიდატებს...

დეპუტატი შეიძლებოდა ყოფილიყო ყველა — მწველავით დაწყებული და ცეკას მდივნით დამთავრებული — განურჩევლად პროფესიისა, ცოდნისა, კომპეტენციისა... მთავარია, ყოფილიყავი „პოლიტიკურად მომზადებული“, ანუ სისტემისა და პარტიის ერთგული.

* * *

შემდეგ, წელიწადში ერთი-ორჯერ შეიკრიბებოდნენ ერთდღიან სესიებზე ეს რჩეულები, იგივე „ხალხის მსახურნი“, სპრინტერული სისწრაფით დაამტკიცებდნენ „ზემოდან“ ჩამოგზავნილ ბიუჯეტ-კანონ-დადგენილებებს და... ამით ამოიწურებოდა კიდეც მათი მთელი მოღვაწეობა...

* * *

ერთი სიტყვით, დეპუტატობა ფრიად მსუბუქი, ყველასათვის ადვილად საზიდი, პრესტიჟული, სამარგებლო, პრივილეგიებით, შეღავათებით, ათასგვარი სიკეთით სავსე „ტვირთი“ იყო...

* * *

ბუნებრივია, რომ საზოგადოებაში, ხალხში დამკვიდრდა შესაბამისი წარმოდგენა დეპუტატობაზე, — რომ ეს არის „საქმიანობა“, რომელიც ბევრს გაძლევს და სამაგიეროდ არაფერს ითხოვს შენგან ხელის დროულად აწევ-დაწევის გარდა...

ხელის აწევ-დაწევა კი, როგორც ცნობილია, მაინცდამაინც ძნელი საქმე არაა.

და არც არავის ეძნელებოდა ეს საქმე დეპუტატობა.

* * *

არადა, ამ აწევ-დაწევით ქვეყნის ბიუჯეტს, მთავრობას ამტკიცებდნენ, კანონებს იღებდნენ... მოკლედ, სახელმწიფოს, ადამიანების ბედს განსაზღვრავდნენ...

* * *

დეპუტატობაზე ზემოაღნიშნული წარმოდგენა-შეხედულების დომინირების ვითარებაში ჩატარდა ამ ორი წლის წინ პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნებიც.

თუ როგორი ცოდნა-განათლების, კომპეტენციის, პროფესიონალიზმის მქონე დეპუტატთა უმრავლესობამ მოიყარა თავი უზენაეს საბჭოში, კარგადაა ცნობილი.

ეს დეპუტატები (უმრავლესობა) ფაქტობრივად არაფრით განსხვავდებოდა „იმ“ დეპუტატებისაგან. მათი როლი აქაც ხელის ყოჩაღად აწევით ამოიწურებოდა.

შედეგიც შესაბამისი მივიღეთ.

* * *

რისთვის გავიხსენე ეს ყველაფერი?

კარზე მოგვადგა ახალი საპარლამენტო არჩევნები.

ამ არჩევნების მნიშვნელობაზე ბევრი იწერება და ამის შესახებ აქ სიტყვას არ გავაგრძელებ.

ბევრი იწერება, ბევრი ლაპარაკია აგრეთვე ამომრჩეველთა პასუხისმგებლობაზე, რომ საჭიროა არჩევნებში მონაწილეობა, სწორი არჩევანის გაკეთება.

თქმა არ უნდა, ამომრჩეველი სწორედაც რომ პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ, ქვეყნის მომავლის ბევრწილად განმსაზღვრელ საქმეს.

* * *

მაგრამ როგორია თავად ასარჩევ პარტიათა, კანდიდატთა პასუხისმგებლობა? რა წარმოდგენა-შეხედულებებით მოეკიდნენ არჩევნებს?

კითხულობ მთელი რიგი პარტია-საზოგადოებების პროგრამებს, ეცნობი მათს საარჩევნო სიებს, უსმენ კანდიდატთა გამოსვლებს და რწმუნდები, რომ, სამწუხაროდ, დღესაც არ შეცვლილა დეპუტატობაზე, დეპუტატის „მსუბუქ ტვირთზე“ ძველებური წარმოდგენა-შეხედულება, რომ ბევრს დღესაც სჯერა ლენინური „სიბრძნისა“, ყოველ მზარეულს შეუძლია ქვეყნის მართვაო, რომ ისევ სიკეთეთა ხათრით ცდილობენ ამ „ტვირთის“ ხელში მოგდებას...

* * *

თუ არა ეს, საიდან, რატომ უნდა გასჩენოდა ათობით 3—4 კაციან, ...თომ პარტიას (საარჩევნო სიას ძირითადად უპარტიოებით რომ ავსებენ) პარლამენტში შესვლის, ასობით „ძალად“ კანდიდატს დეპუტატობის პრეტენზია?!

**რისი იმედით, რა ცოდნით, რა კომპეტენციით აპირებენ ქვეყნის მართვას?!**

ხომ ამთავითვე ნათელია, რომ ეს „ის“, მხოლოდ ხელის ამწევ-დამწევი პარლამენტი არ იქნება (არ უნდა იყოს)! რომ მან მართლაც ქვეყნის, ხალხის ბედის განმსაზღვრელის როლი უნდა შეასრულოს!

მერედა, მზად არიან ეს ძალად პარტიები, საარჩევნო სიებში უხვად წარმოდგენილი ვეტერანები და პედაგოგები, ამხანაგები და „მეგობრები“, დროებით უმუშევრები და საერთოდ, მავანნი და მავანნი, რომელთა არც სახელი, არც საქმიანობა არაფერს კარგს, ან საერთოდ არაფერს ეუბნება ადამიანს, — იკისრონ ის დიდი პასუხისმგებლობა, ღირსეულად ატარონ ის მძიმე ტვირთი, დეპუტატებს რომ დაეკისრებათ?

საზოგადოების წინაშე რომ ... მოდიხარ (ტელევიზიით), ხმას რომ ეხვეწები ხალხს, ცოდნა-კომპეტენცია თუ არ მოგძევს, წერა-კითხვა, ელემენტარული ქართული მაინც არ უნდა იცოდე?!

* * *

ვატყობ, რიტორიკული კითხვები დავსვი.

რა ცოდნა-კომპეტენცია, რომელი ქვეყნის მართვა, ამგვარი ძალად მაცხონენი ხომ სრულიადაც არ აპირებენ „სოფლის აშენებას“, მათი მიზანი ხომ გაცილებით პროზაულია — **საპირადო და არა საქვეყნო...**

* * *

არადა, გამორიცხული არაა, რომ მართლაც მიიღონ ხმები, მოხვდნენ პარლამენტში ამგვარი „ამშენებლები“.

ხოლო ეს რომ არ მოხდეს, ამ ოცი თუ ორი წლის წინანდელი სიტუაციები რომ არ განმეორდეს პარლამენტის შიგნით თუ გარეთ, — მეც ტრაფარეტულად უნდა დავამთავრო — ეს მართლაც ამომრჩევლებზე, ჩვენს პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. უნდა უკუვაგდოთ ... წარმოდგენა დეპუტატობაზე ... მხოლოდ ხელის ამწევ-დამწევზე, ღრმად უნდა გავიცნობიეროთ, რომ ჩვენს, სწორედაც რომ რჩეულებზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ბედი, ქვეყნის ბედი და ამ შეგნებით მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან, ამ შეგნებით მივცეთ ხმა...

ფელიქს კოჭუაშვილი

P.S.

არცთუ ზოგიერთი კანდიდატის საყურადღებოდ:

**„საკუთარი თავით მოპოვებული კარიერა ყოველთვის უფრო მკვიდრია, ვიდრე მდაბალი სალამ-ქალამით, ან წარჩინებული ბიძიას ქომაგობით გაკაფული კარიერა. ამ ორი უკანასკნელი საშუალებით შეიძლება მოხვდე გუბერნიის ან დედაქალაქის დიდ ბობოლებში, მაგრამ ქვეყნის დასაბამიდან ვერავინ მოახერხა ამ გზით ვაშინგტონი, გარიბალდი, კოპერნიკი ან ჰაინე გამხდარიყო“.**

(პისარევი)




# ადიღეურ, ანუ ჩერქეზულ წყაროთა ღაღადი

ზურაბ რატიანი

აფხაზეთი ჩვენი აკვანია და, ამიტომ, საქართველოს უნდა მოვგლიჯოთო, ზარნაშოსავით გაჰკივიან ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები და, რაღა თქმა უნდა, აფსუები. ამათ ბანი მისცეს ათასი ჯურის ნაძირალებმა და აგვიტეხეს ომი.

მერედა ვინ ჩააგონათ ამ ვაჟბატონებს, რომ აფხაზეთი მათი აკვანია, მამა-პაპამ, მოყვარემ თუ მტერმა?!

ვნახოთ, რას ღაღადებენ მათი მამა-პაპანი ისტორიული წყაროების ენით.

ოღონდ, საქმისათვის აჯობებს და მეც ჯერ ორიოდე სიტყვას აფსუათა ღვიძლ ძმებზე, ადიღე-ჩერქეზ-ყაბარდოელებზე მოგახსენებთ. ყველა ეს ერთი ხალხია, პატარ-პატარა ტომებისაგან შედგება და თავის თავს ყოველი მათგანი ადიღეს უწოდებს. სხვები მათ ჩერქეზებს უძახიან, ნაწილს ყაბარდოელებადაც იხსენიებენ. ეს ხალხი უხსოვარი დროიდან მოსახლეობდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში. რაოდენობით ამჟამად ნახევარ მილიონზე ცოტა მეტნი არიან კავკასიაში და დაახლოებით ორი იმდენი — წინა აზიაში (რუსებისაგან გაძევებული მუჰაჯირების ...ამომავლები). სახელმწიფო და კულტურული განვითარებით დიდი წარმატება არასოდეს ჰქონიათ. საკმარისია ითქვას, ჩერქეზები ისტორიულად უმწიგნობრო, ანუ მშობლიურ ენაზე დამწერლობის უქონელი ხალხი იყო და მათ, მხოლოდ ამ სამოცდაათიოდე წლის წინათ მოახერხეს დამწერლობის შექმნა.

მეცამეტე საუკუნეში ჩერქეზეთი მონღოლებმა დაიპყრეს და, სწორედ მაშინ, ჩერქეზთა ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. დაანებეს მტერს სამშობლო, აიყარნენ და კავკასიის მთებს შეაფარეს თავი. მეტი წილი ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ხეობებს შეეხიზნა, ვიდრე თერგის ნაპირებამდე; ნაწილი საქართველოში ჩასახლდა, დასავლეთ საქართველოში, რომელიც მონღოლებმა ვერასოდეს ვერ დაიპყრეს. ასე გაჩნდა ჩერქეზთა პირველი დასახლებები საქართველოში.

საქართველოს ძლიერების ხანაში, დავით აღმაშენებლის, თამარისა და გიორგი ბრწყინვალეს დროს, არსებითად მთელი კავკასია და, კერძოდ, ჩერქეზეთიც, საქართველოს სამეფოს ნაწილი გახდა. და თუ მანამდე საქართველოდან ჩერქეზეთში ძირითადად ქრისტიანობა ვრცელდებოდა, მეთორმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში და უფრო მოგვიანებითაც, იმდენად დიდი იყო საქართველოს გავლენა ჩერქეზეთზე, რომ თვით ქართული სოციალური ტერმინებიც კი დამკვიდრდა იქ. ამის უტყუარი დასტურია ჩერქეზულ ენაში დადასტურებული ათაუად-თავადი და უორკ-კარგი.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ჩერქეზული წყაროები ჩვენთვის საჭირბოროტო საკითხზე.

როგორც ითქვა, ჩერქეზებს ძველი წერილობითი წყაროები არ გააჩნიათ, მაგრამ მათ, როგორც ყველა უმწიგნობრო ხალხს, მაინც აქვთ თავისი უტყუარი წყაროები, მატერიალური კულტურის ძეგლების, ზეპირსიტყვიერების, ტოპონიმიკისა და სხვათა სახით.

ამჯერად მხოლოდ სამ ჩერქეზულ წყაროს შევეხები.

პირველი წყარო გახლავთ ლეგენდა ქართველ ასულზე (ი. ჟერნოვლევი, ე. ჟერნოვლევა, ძეგლები და ღირსსახსოვარი ადგილები ადიღეს მთისწინეთში, მაიკოპი, 1973, რუსულ ენაზე).

მოვიტან ნაწყვეტებს ამ ლეგენდიდან.

„მაღალ კლდეზე პირქუშად იყო აღმართული ადიღეელი თავადის დახის ციხე-სიმაგრე, რომელიც მტაცებლის ბუდესავით ბატონობდა გარეშემო აულებზე...

ერთხელ თავადი სარბევად გაემართა. ტყე-ტყე იარეს. მესამე დღეს **უკან მოიტოვეს უღელტეხილი დომბილიკი დაღმართს დაუყვა. ეს უკვე გურჯისტანის — საქართველოს მიწა იყო**“.

შემდეგ ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მეკობრეებმა გაძარცვეს და ააოხრეს ქართული სოფელი, ხელთ იგდეს ნადავლი და გაიტაცეს ლამაზი ქართველი ქალიშვილი, რომელსაც თვალწინ მოუკლეს ქალა-

დასასრული მე-7 გვერდზე

# ჯერ ხანძარი ჩავაქროთ

რაც მეტი ჭრილობა ჩნდება საქართველოს მრავალტანჯულ, ნაიარევ სხეულზე, მით უფრო ძნელდება დინჯი, ჯანსაღი აზროვნება, თავშეკავება, რომ ტკივილმა სასოწარკვეთილებაში არ ჩაგვაგდოს, გონი არ დაგვაკარგვინოს და ჩვენი თავი ჩვენივე ხელით არ დაგვასამარებინოს.

ამჟამინდელ ხელისუფლებას მართლაც უკიდურესად ექსტრემალურ ვითარებაში უწევს მოღვაწეობა, რაც არ გამორიცხავს გარკვეულ შეცდომებს, ტაქტიკურ უზუსტობებს. ამით სარგებლობენ დაპირისპირებული ძალები და ცდილობენ კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოაქციონ სახელმწიფო საბჭო, ხაზს უსვამენ მის არალეგიტიმურობას, უკანონოდ აცხადებენ და ქმნიან ხელისუფლების კრიზისის ილუზიას... მაგრამ სახელმწიფო საბჭოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ შეუპყრია არასრულფასოვნების კომპლექსს, არ დაუკარგავს წონასწორობა და თამამად იგერიებს შინაურ თუ გარეშე მტერს, როგორც ამას ხშირად ახერხებდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები.

მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს ხელისუფლებას ემადლიერებოდეს და კეთილგანწყობით ანებივრებდეს საქართველოს თავისუფალი პრესა, რომელსაც დემოკრატიულ ქვეყნებში „მეოთხე ხელისუფლებას" უწოდებენ. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ყოველგვარი კომენტარის გარეშე, შეუფერხებლად იბეჭდება მკვეთრი შეურაცხმყოფელი, რევანშისტული სულისკვეთების მქონე წერილები, მოწოდებები, განცხადებები. წინასაარჩევნო ეგოიზმი აშკარად მძლავრობს — ასპარეზი ეთმობა ყველას, ვინც, საბუთით თუ უსაბუთოდ, მოისურვებს გალანძღოს, მოახდინოს პროვოკაციული დაწოლა ხელისუფლებაზე.

ამჯერად ყურადღება მინდა გავამახვილო ცხინვალის რეგიონიდან გამოგზავნილ ერთ კოლექტიურ წერილზე, რომელიც გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა (№ 38. 25/09—2/10—92 წ.). პუბლიკაციაში ჩამოყალიბებულია მოთხოვნათა რვა პუნქტი, რომელთა შესრულებასაც წერილის ავტორები სასწრაფოდ მოითხოვენ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას ცხინვალის რეგიონიდან უცხო სახელმწიფოს ყველა შეიარაღებული ფორმირებები.

2. ამ ტერიტორიაზე შეყვანილ იქნას საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარები, საქართველოს არმიის ნაწილებმა კი გააკონტროლონ საქართველო-რუსეთის საზღვარი როკის გვირაბთან, რათა შეწყდეს იარაღის შემოტანა და აღდგენილი იქნას ჩვენი იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე.

3. სასწრაფოდ შეიქმნას მილიციის სპეცდანიშნულების დანაყოფები, რომლებიც იმუშავებენ იარაღის ამოღებაზე და წესრიგს დაამყარებენ რეგიონში.

4. მოხდეს ქართველ ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნება (ოსები უკვე დაბრუნდნენ) და მათი დაცვის უზრუნველყოფა.

5. აღდგენილ იქნას ქართული სკოლები და სხვა საგანმანათლებლო სასწავლებლები, ქართველმა ბავშვებმა დაიწყონ სწავლა (ოსები უკვე სწავლობენ).

6. ქ. ცხინვალსა და ყველა სოფელში ორგანიზებული იქნას საარჩევნო უბნები, სადაც ჩვენ შევძლებთ დემოკრატიულად გამოვხატოთ ჩვენი ნებასურვილი და ხმა მივცეთ ღირსეულთ ღირსეულთა შორის.

7. დაბრუნებულ მოსახლეობას გაეწიოს ეკონომიკური და ფინანსური დახმარება, რათა შეძლოს ამ საშინელ პირობებში გამოზამთრება.

8. დაჩქარდეს ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მდებარე რაიონების სტრუქტურების ჩამოყალიბება.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ მოთხოვნებს ულტიმატუმის და აშკარა მუქარის ხასიათი აქვს. წერილის ბოლო აბზაცში ვკითხულობთ:

„მოვითხოვთ სასწრაფოდ შესრულებული იქნას ზემოაღნიშნული პუნქტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თვითონ ავიღებთ ჩვენს თავზე ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეს და თუ კიდევ ერთხელ დატრიალდა ტრაგედია, პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ (იგულისხმება ე. შევარდნაძე — რ.ს.) და სახელმწიფოს საბჭოს ყველა წევრს".

როგორც ჩანს, წერილის ავტორებმა გარკვეული ზრახვების რეალიზაციის მიზნით, გამოიყენეს მრავალჭირნახული, უმძიმეს ფიზიკურ გასაჭირში და ფსიქოლოგიურ სტრესში მყოფი სამაჩაბლოს მოსახლეობის ერთი ნაწილის ემოციური განწყობა და შექმნეს დღევანდელი ვითარებისათვის ყოვლად მიუღებელი, შეუფერებელი კოლექტიური წერილი.

ნუთუ ვინმეს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ დაგომისის შეთანხმების მძიმე კომპრომისი, რომელიც „ნაკლები ბოროტების" პრინციპით იქნა მიღებული, ჩვენთვის უარყოფითი წანამძღვრების გარეშე ჩაივლიდა; ნუთუ ვინმე ფიქრობდა, რომ რუსეთის ჯარი ცივ ნიავს არ მიაკარებდა ქართულ მოსახლეობას და პრინციპულად დაიცავდა მათ უფლებებს; იქნებ ვინმეს ეგონა, რომ რუსეთის ხელისუფლება, რუსი ჯარისკაცები სამაჩაბლოს დემოგრაფიული ბალანსის შენარჩუნებაზე იზრუნებდნენ და მკაცრად აღრიცხავდნენ ოს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს... ეს ფანტაზიის სფეროა და მათი არგუმენტების საფუძველს შეადგენს, ვინც ამბიციური აზროვნებით წყალს გვიმღვრევს, და ეს მაშინ, როცა უმნიშვნელოვანესი არჩევნები კარს მოგვადგა, როცა აფხაზეთის კრიზისის დასაძლევად ამდენი ძალისხმევა იხარჯება...

სამაჩაბლოს კომპრომისს ერთი მთავარი მიზანი გააჩნდა — მასიური სისხლისღვრის შეწყვეტა, რაც შესრულდა კიდეც. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ამ უმძიმეს ვითარებაში, როცა აფხაზეთში ომი მძვინვარებს, ხოლო პრეზიდენტყოფილის მომხრე ძალები ცეცხლზე ნავთს ასხამენ და გადამთიელებს გვისევენ, სამაჩაბლოშიც სისხლი ილვრებოდეს — რამდენ ხანს გაუძლებდა საქართველო ასეთ გამოცდას, ეყოფოდა ძალა, ღონე?!.. ან რა ბედი ეწეოდა არჩევნებს, რომელზეც ამდენ იმედს ვამყარებთ. ჩვენი ოპონენტები (რბილად რომ ვთქვათ) მშვიდობის ჩამოგდების ყოველ მცდელობას წონასწორობიდან გამოჰყავს, ვერ ეგუებიან სიმშვიდეს, რომელიც უკვდავების წყალივით გვჭირდება დღეს.

ენა არ მომიბრუნდება, მათ რიცხვს მივაკუთვნო ცხინვალის რეგიონის მართლაც ჯვარცმული ქართული მოსახლეობის თუნდაც ერთი ნაწილი. ეს მრავალტანჯული, სისხლისგან დაცლილი ხალხი, სამართლიანად ითხოვს კანონს, სიმართლეს, ადამიანურ მოპყრობას; მათ განსაკუთრებული ყურადღება, მოფერება, მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. მაგრამ, მჯერა, ისინიც დამეთანხმებიან, რომ, როცა ხანძარი მძვინვარებს, მთელი ძალ-ღონე იქით უნდა იყოს მიმართული, რათა ნებისმიერი ხერხით ვძლიოთ სტიქიას. ხანძარი საქართველოში ჯერაც არ ჩამქრალა, მან ამჯერად აფხაზეთში გადაინაცვლა — ჩვენი აფხაზეთი იწვის! სისხლით ირწყვება ძირძველი ქართული მიწა, ახლა იქ ისმის გლოვა-გოდება და ვინც ასეთ დროს „ვისი ჭირი, ღობეს ჩხირი"-ის პრინციპით მოქმედებს, ანარქიისა და ახალი ტრაგედიის პროვოცირებით იმუქრება, საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს, ასეთების მხარდაჭერა კი, ვერაფერი პატრიოტობა და მამულიშვილობაა.

ნურც ისტორიას დავივიწყებთ. შიდა ქართლი ხშირად განიცდიდა შევიწროებას მთიელ ტომთაგან, მაგრამ ჩვენი სახელოვანი წინაპრების სიდინჯისა და გამჭრიახობის ფასად სამართალი მუდამ იმარჯვებდა. გავიხსენოთ როგორ მოიქცა თითქმის ანალოგიურ ისტორიულ ვითარებაში, სახელოვანი ქართველი მეფე გიორგი V, როცა მონღოლთა ულლისაგან ღონეგამოცლილი ქვეყანა ვერ გაუმკლავდა იმიერკავკასი[illegible]ლას. მაშინ, ალან-ოსებმა დრო იხელთეს, მთელს შიდა ქართლს მოედვნენ და გორიც კი აიღეს. ასეთ ვითარებაში მეფე გიორგიმ დაყვავებით, დიპლომატიით მიიმხრო თათარი დიდკაცობა, უფლება-მოვალეობები გაიფართოვა, ქვეყანა თანდათან გააერთიანა, მოამძლავრა და მხოლოდ ამის შემდეგ „მტკიცე ხელით აღკვეთა ოს მეკობრეთა თავაშვებულობა", რის შემდეგაც ქველ მეფეს მადლიერმა ქართველმა ხალხმა „ბრწყინვალე" უწოდა.

მოვუხმოთ ნებისყოფას, ერთად გავუმკლავდეთ გასაჭირს, ნუ შევუდგებით ნახანძრალი სახლის შელესვა-შეკეთებას, როცა მეზობლის სახლი ცეცხლშია გახვეული. გავუმართოთ ერთმანეთს ხელი და როდესაც საბოლოოდ გავუმკლავდებით ბოროტ ძალებს, დინჯად და აუჩქარებლად აღვადგინოთ დანგრეული მოვიშუშოთ იარები, ვიცხოვრობთ ადამიანურად...

რევაზ სადუნიშვილი

**საჭიროდ მიმაჩნია ამ წერილის კომენტირება: რა თქმა უნდა, ხელისუფლების კურსისადმი კრიტიკული დამოკიდებულება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ავის მზრახველობას, მშვიდობა ყველას გვინდა, მაგრამ, ამასთანავე, გვინდა გამარჯვება ანუ ჩვენი მიწა-წყლის დაცვა. პრობლემა მხოლოდ იმას ეხება, რომელი საშუალებაა ამისთვის ყველაზე უკეთესი. ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა ძალის ქონა, რის გარეშეც ყველა გზა უქმეა. მე ერთი იმათგანი ვარ, ვინც სამმხრივი ძალების ამოქმედების მოწინააღმდეგე იყო თავიდანვე, თუმცა მესმის, როგორი დადებითი როლი ითამაშა იმ პირველ სამ თვეში დროის ფაქტორმა. ახლა ვითარება არსებითად სხვა არის. შეიარაღებული უცხოელების დატოვებას საქართველოში აზრი აღარა აქვს, მითუმეტეს, რომ ოსურ ნაწილებში ძალიან დიდია მოსახლეობისათვის ცნობილი მკვლელებისა და ბანდიტების პროცენტი. ასე რომ, სათანადო ძალის შექმნას და უცხოელების საქართველოდან დათხოვნას, ჩვენი სარსებო ინტერესები მოითხოვს. წერილის ავტორს და მისი სულისკვეთების გამზიარებლებს უნდა ვუსურვოთ, რომ თავიანთი შრომა და ენერგია მთლიანად ამ პოზიტიური ამოცანების გადაჭრას მოახმარონ.**

ნოდარ ნათაძე

---

## ნუგზარ ხიდაშელი:
# არჩევნები სასიცოცხლოდ აუცილებელია...

**ნუგზარ ხიდაშელი** — დაიბადა 1948 წელს ონის რაიონის სოფელ ხიდაშლებში, პედაგოგების ოჯახში. დაამთავრა ონის საშუალო სკოლა. სწავლის პარალელურად მუშაობდა სოფლის კოლმეურნეობაში.

1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გზების მშენებლად, მებეტონედ, გვირაბგამყვანად, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირად. იყო მთაწმინდის რაიონის საკრებულოს დეპუტატი. ამჟამად მუშაობს სახელმწიფო კონტროლის პალატაში.

ნ. ხიდაშელი დაარსების დღიდან არის საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი. ცხოვრობს თბილისში. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

ნუგზარ ხიდაშელი კენჭს იყრის დამოუკიდებელ კანდიდატად № 6 (იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის) საარჩევნო ოლქში.

**— ბატონო ნუგზარ, რა მდგომარეობაა ამჟამად რაჭაში, რა გაკეთდა ან კეთდება იქ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ?**

— დღეს მდგომარეობა, მოგეხსენებათ, მთელს საქართველოში უკიდურესად რთულია. ჩვენ ვიმყოფებით ომის მდგომარეობაში. და ეს არ არის არავითარი ეთნოკონფლიქტები, როგორც მას უწოდებენ. ეს არის ნამდვილი ომი. განსაკუთრებით აღინიშნება ეს სიძნელე ისედაც ღარიბ და მცირემიწიან რაჭაში, სადაც ხალხმა მთელი თავისი დანაზოგი შეალია იმას, რომ ქუჩაში, ღია ცის ქვეშ არ დარჩენილიყო და ამჟამად სილატაკის პირზეა მისული...

რაც მართალია, მშენებლობა გასულ წელს კარგი ტემპით მიმდინარეობდა. წელს კი მინიმუმიც არ კეთდება, იმიტომ რომ თანხებია ძალიან მცირე, თითქმის არ არის. მუშები, რომლებიც მშენებლობაზე მუშაობენ თვეობით ვერ ღებულობენ ხელფასს.

ახლადშექმნილმა პარლამენტმა მომავალში ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა დაეხმაროს ამ რეგიონს. მოგეხსენებათ, რაჭა ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონია, რომელიც ფართო ზოლით ესაზღვრება ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილოეთ ოსეთს. რაჭა თუ დაიცალა და იქ მცხოვრებ ხალხს არ მიეცა ნორმალური ცხოვრების პირობები ეს საქართველოს კარგს არაფერს უქადის — ჩვენს ნაფუძვარზე გადამთიელები დასახლდებიან.

**— რა, ბოლო დროს იყო ამგვარი ფაქტები?**

— არა, არ ყოფილა, მაგრამ ხომ იყო წარსულში? თუ რაჭის მოსახლეობა მძიმე სოციალური პირობების გამო აიყარა, ბუნებრივია, რომ დასახლების მსურველი გადამთიელი მაშინვე გამოჩნდება. ასე რომ, მე შესაძლო არასასურველ შედეგებს ვგულისხმობდი. ზოგჯერ პრობლემას ხელოვნურად ვიქმნით. მაგალითად, საზოგადოება „რაჭამ" თავის დროზე დააყენა სოფ. ღების ჩამოსახლების საკითხი. მართალია ღებელებს ძალიან უჭირთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რათა ადგილზე დავეხმაროთ მათ. ღების დაცლა არაფრით შეიძლება, რადგან იგი პირდაპირ ესაზღვრება ოსურ სოფელს...

**— აფხაზეთის ომთან დაკავშირებით ხომ არ ყოფილა რაჭაში ტერორისტული ბანდების შემოჭრის შემთხვევები?**

— საქმე ის გახლავთ, რომ მომხვდურებს ძალიან კარგად ესმით, თუ რაჭიდან შემოვლენ მათ კარგი დღე არ დაადგებათ, თუნდაც რაჭის ბუნებრივი პირობების გამო. გარდა ამისა, რაჭას, ისევე როგორც მთელ საქართველოს, არ სძინავს. ჩვენს ბიჭებს, ადგილობრივ მოსახლეობას გამაგრებული აქვს ისეთი ადგილები, საიდანაც ყველაზე მეტად არის შესაძლებელი ტერორისტების შემოჭრა. კერძოდ, მამისონის უღელტეხილი. ასე რომ, რაჭაში ისინი არ გამოჩენილან. და ღმერთმა ნუ გამოაჩინოს. საქართველოს ხელყოფის მსურველი რაჭაში უპასუხოდ არ დარჩება...

**— რა მოსაზრებები გაქვთ 11 ოქტომბრის არჩევნებთან, მასში მონაწილე პარტიებთან და ბლოკებთან დაკავშირებით?**

— არჩევნები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და იგი უნდა ჩატარდეს ყოველ მიზეზ გარეშე. რაც შეეხება დამოკიდებულებას პარტიებთან და ბლოკებთან. მე, ბუნებრივია, მხარს ვუჭერ ბლოკს „11 ოქტომბერი", რადგან სახალხო ფრონტის წევრი ვარ და, გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ აქ თავმოყრილია ყველაზე უფრო პროგრესული პოლიტიკური ძალები. არის, რა თქმა უნდა, სხვა პარტიებიც, სადაც ასევე ღირსეული და პატიოსანი ადამიანები არიან.

ისე ერთი კრიტიკული მოსაზრება მაქვს და, თუ ნებას მომცემთ, ვიტყვი. მაგალითად, ზოგიერთი პარტიის სიაში პირველ-მეორე ნომრებად დასახელებული არიან ადამიანები, რომლებიც არ არიან ღირსნი პარლამენტის წევრობისა. ამავე სიაში მომდევნო ნომრებად დასახელებული არიან სახელოვანი მსახიობები, სპორტსმენები, ხელოვანები. ასეთი განლაგების მიზანი მარტივია: პოპულარობის გამო ცნობილი ადამიანის თაყვანისმცემელთა ხმა პარტიას ან ბლოკს მიეწერება. უბრალოდ, ბოროტად იყენებენ ცნობილი პიროვნებების ავტორიტეტს. ასეთი რამ ყოვლად დაუშვებელია.

საერთოდ, პარლამენტი არის საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც დღედაღამ უნდა იმუშაოს კანონპროექტებზე, სახელმწიფოს მოწყობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და ამიტომ, მიმაჩნია, რომ პარლამენტური საქმიანობა, ძირითადად იურისტების, ეკონომისტების და პოლიტოლოგების პრეროგატივაა. მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ ზოგიერთი ხელოვანი უფრო მეტად არის ღირსი დეპუტატობისა, ვიდრე ზოგიერთი პოლიტიკოსი, მაგრამ ის მოზღვავება არაპოლიტიკოსებისა, რაც ზოგიერთი პარტიის სიებსა თუ დამოუკიდებელ კანდიდატთა შორის გვხვდება, პირდაპირ განსაცვიფრებელია.

გითხრათ სიმართლე, ამის შემხედვარე, პატრიოტულად რომ არ ვიყო განწყობილი, მეც მოვხსნიდი კანდიდატურას...

**— ბატონო ნუგზარ, აკი არც თქვენ ბრძანდებით პროფესიონალი პოლიტიკოსი არც განათლებით და არც პროფესიული ბიოგრაფიით. ეკონომისტობის მხოლოდ რამდენიმე თვის მუშაობის გამოცდილება გაქვთ. ისე ხომ არ გამოგდით, სხვის თვალში ამჩნევდეთ ბეწვს?**

— მოგახსენებთ. მე ცხოვრების ისეთი გზა განვვლე, რომ ალბათ ბევრ ადამიანს არ გაუვლია. მეოთხე კლასიდან მოყოლებული მაქვს შრომის სტაჟი. უნივერსიტეტში მყარი ეკონომიური ცოდნა შევიძინე. გარდა ამისა, ვმუშაობდი სახალხო ფრონტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ. ვიყავი მთაწმინდის რაიონის საკრებულოს წევრი, ვხელმძღვანელობდი საბინაო კომისიას, სადაც მომიხდა უამრავი სამოქალაქო კანონის შესწავლა. შემდეგ ვხელმძღვანელობდი კანონიერებისა და მართლწესრიგის კომისიას. აქაც კანონებთან მქონდა საქმე. ამჟამად ვმუშაობ სახელმწიფო კონტროლის პალატაში, სადაც უკვე მივიღე გამოცდილება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონიერად ხარჯვის დარგში. ასე რომ, მე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ცოდნითაც შემიძლია გამოვადგე ჩვენს მომავალ პარლამენტს...

**— ბატონო ნუგზარ, მე თქვენს გამოცდილებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ, მოდი, ხალხს მივანდოთ საბოლოო არჩევანი და ბოლოს, არჩევნების წინ რა სურვილები გაქვთ ამომრჩევლისადმი?**

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მე მინდა ყველა ჩემს თანამემამულეს მივმართო, რომ თუ არჩევნები არ ჩატარდა საქართველოში, კიდევ უარეს დღეში ჩავვარდებით. არჩევნები სასიცოცხლოდ აუცილებელია და მე ვთხოვ ყველა ამომრჩეველს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, კარგად აწონ-დაწონოს, თუ ვის აძლევს ხმას. არჩევანი გააკეთოს იმის მიხედვით, თუ ვინ ვინ იყო წარსულში და რის გამკეთებელია დღეს. თუ არავინ მოსწონს, მაინც მოვიდეს საარჩევნო ურნასთან და ესეც დააფიქსიროს, რადგანაც დაინტერესებულ პირებს არ მიეცეთ შესაძლებლობა სურვილისამებრ შეავსონ მათი კუთვნილი ბიულეტენები.

გარდა ამისა, მსურს ყველას ვუსურვო შერიგება, რადგან ვერც პარლამენტი და ვერც არჩევნები ვერას გვიშველის, თუ ერთმანეთის მიტევება და გატანა ვერ ვისწავლეთ.

ესაუბრა
სანდრო იმერი

დასასრული

რა მამა. თავადს ბელა შეუყვარდა, მისი ცოლად შერთვა უნდა, მაგრამ ქალიშვილი სასტიკ უარზეა. მალე ბელამ იშოვა ხანჯალი, სიტყვით დაეთანხმა თავადს ცოლობაზე და როცა გახარებულმა თავადმა ხელები გაშალა, რომ ქალიშვილს მოხვეოდა, ბელამ იგი ხანჯლით განგმირა. მერე მოახტა ცხენს და გაიქცა, მაგრამ მდევარი აგერ-აგერ დაეწევა ბელას და მაშინ, მდინარის საშინელ და ფრიალო ნაპირიდან ბელა ცხენით გადაეშვა უფსკრულში.

ამაყი, დაუმონებელი ბელას გვამი მდინარემ გამორიყა, იგი გლეხებმა დაკრძალეს და მდინარეს უწოდეს მისი სახელი — ბელა.

რა მტკიცდება ამ ლეგენდით?

პირველი. ქართველი ქალის მაღალი ზნეობრიობა, რაც ლეგენდის საფუძველია და მის შემქმნელთა, აწინდელი ჩვენი გაცოფებული მტრების მამა-პაპათა ღირსებაზე მეტყველებს, რომელთა იდეალია სულით და ხორცით ლამაზი, თავისუფალი ქალი, რომელიც ძალმომრეობას ებრძვის და ამარცხებს თავისი სიცოცხლის ფასად. ესაა ჰიმნი ქართველი ქალისა, რომელიც მას ადიღეელმა ხალხმა უგალობა.

მეორე. კავკასიონის გადმოღმა, აწინდელი დიდი სოჭის რაიონში ჩერქეზეთს საქართველო ესაზღვრება.

მესამე. აღნიშნული მიწა-წყალი საქართველოა არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ იგი ასევე საქართველოა ეროვნულად, ანუ იქ ქართველები ცხოვრობენ, ე.ი. ეს ტერიტორია წმინდა წყლის ქართული მიწაა, თავისი მკვიდრი ქართული მოსახლეობით.

მეოთხე. ლეგენდის სამოქმედო არეალი მოიცავს მდინარე ბელაიასა და მისი მარჯვენა შენაკადის, მდინარე დახის აუზებს, წყალგამყოფი ქედის გადაღმა; ხოლო ამ ქედს გადმოღმა მდინარე სოჭის წყალსა ან მის დასავლეთით, მდინარე შახეს აუზებს, რაც ლეგენდის თანახმად საქართველოა. ამიტომ, ბუნებრივია, ვიფიქროთ, სოჭის აღმოსავლეთით მდებარე მხარე — აფხაზეთი ადიღეელთათვის ასევე საქართველოა.

მეხუთე. ლეგენდაში გადმოცემული ამბავი, სულ მცირე, ათასი წლის წინანდელ ვითარებას მაინც უნდა ასახავდეს, ანუ იმ დროს, როცა ჩერქეზეთი ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შემოდიოდა. გარეგნულად ამას ეწინააღმდეგება ლეგენდაში დადასტურებული ტერმინები ყალასარაი და ბაიყოლები, რომლებიც ჩერქეზულ ენაში მათი გამუსულმანების შედეგად უნდა შესულიყო თურქული ენიდან, მეთექვსმეტე საუკუნის შემდგომ. ასეთი მოვლენა (გვიანდელი ტერმინოლოგიური და სხვა სახის ჩანართები) საერთოდ დამახასიათებელია ლეგენდებისათვის და თუ ამის მიხედვით დავათარიღებთ ჩვენს ლეგენდას, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ მე-16—17 საუკუნეებში სოჭის მხარე ისევ საქართველოს სახელმწიფოში შემოდიოდა, და, რაც მთავარია, აქ ისევ ქართველები ცხოვრობდნენ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ასევე გამორიცხულია, ჩერქეზებს ლეგენდაში აღნიშნული საქართველოს საზღვარი XII—XIV საუკუნეებშიც იმავე ადგილას ეხსენებინათ, რადგან მაშინ თვითონ ჩერქეზეთი იყო მოქცეული საქართველოს საზღვრებში და, გარდა ამისა, იმ ჟამად ჩერქეზთა მეკობრეობაც გამორიცხული იყო. ლეგენდაში არც მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევის, XIII საუკუნის I ნახევრის კვალი ჩანს და, ყოველივე აღნიშნულის გამო, ვფიქრობ, სწორი იქნება დასკვნა, რომ ლეგენდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის ვითარებას ასახავს.

# ადიღეურ, ანუ ჩერქეზულ წყაროთა ლაღადი

ზურაბ რატიანი

მეორე წყარო, წყარო კი არა, მთელი მდინარე, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ზედ ჩვენი ლეგენდის გეოგრაფიულ არეალშია მოქცეული. ეს გახლავთ მდინარე ბელაიას მარცხენა შენაკადი და მას ჩერქეზები უწოდებენ ქურჯიფს, რაც სიტყვა-სიტყვით ქართველის წყალს, ანუ ქართველთა მდინარეს ნიშნავს. ამ მდინარეს მეორე სახელიც აქვს — ქურჯიყ, — დიდი ქართველი, ასე ითარგმნება იგი. ეს ქურჯიფს-ქურჯიყ კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალ ოშტენის ფერდობებიდან იღებს სათავეს 2500 მეტრის სიმაღლეზე, სწრაფად მიედინება მის ჩრდილოეთ კალთებზე, აქაფებული მიარღვევს ღრმა, კლდოვან ხეობას და ჩავაკებული, მშვიდად ერთვის ბელაიას; სიგრძით სულ ასორმოცდაათიოდე კილომეტრია.

მდინარე სხვაც ბევრია ჩერქეზეთის მთებში და რაღა მაინცდამაინც ამას დაარქვეს ქართველთა სახელი? ანდა რატომ უნდა დაერქმიათ ჩერქეზებს მთის ამ პატარა მდინარისათვის მეორე ასეთი რიხიანი სახელი — ქურჯიყ — დიდი ქართველი? წყლისა და მდინარის დანატრულები ისინი არ არიან, სხვას რომ თავი დავანებოთ, უშველებელი ყუბანი ხომ ზედ შუაგულ ჩერქეზეთში მოედინება. ეტყობა, ეს ქურჯიყ — დიდი ქართველი, უფრო იმის გამოძახილია, რაც უშუალოდ მდინარის მიღმა იმალება. აკი მისი ძირითადი სახელი არის ქურჯიფს — ქართველთა მდინარე, როგორც ეს აღნიშნულია რუქებზე, ხოლო ქურჯიყ — მისი მეორე სახელია, რასაც ტოპონიმიკური ლიტერატურიდან ვგებულობთ.

ასე რომ, სახელწოდება დიდი ქართველი უფრო იმ უძველეს გზას უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც ამ მდინარის ხეობაზე გადადიოდა უხსოვარი დროიდან. ეს გზა სოჭის დასავლეთით გადიოდა უღელტეხილზე და მდინარე ქურჯიფს-ქურჯიყის ხეობით ჩადიოდა ბარის ჩერქეზეთში. და, როგორც ჩანს, ამ გზით ჩერქეზეთში გადასული ქართველი კაცი ჩერქეზისათვის დიდი იყო, რადგან მას საქართველოდან ჩერქეზეთში მიჰქონდა ქრისტიანობა, ქართული დამწერლობა, კულტურა, რომ აღარაფერი ვთქვათ დაწინაურებული საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე ჩერქეზეთთან...

ყველაფერი, რაც აქამდე გაიმბეთ, მაინც საქართველოს დღევანდელ საზღვრებთან ახლოს მდებარე მიწებს შეეხება და, ამდენად, აქ მაინც და მაინც უჩვეულო არაფერი უნდა იყოს, მით უმეტეს, არა თუ შორეულ წარსულში, თვით დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის დროსაც კი სოჭი-ტუაპსეს მხარე პირწმინდა ქართულ მიწებად — საქართველოს ნაწილად აღიქმებოდა იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ.

ახლა კი ისეთ წყაროს გაგაცნობთ, მართლაც რომ გასაკვირია, თუმცა მოულოდნელი სულაც არ არის (აქვე ვიტყვი, სამწუხაროდ, არც ერთი აქ განხილული ჩერქეზული წყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ არ არის გამოყენებული).

მაშ ასე, ჩვენს მესამე წყაროს ვპულობთ ჩერქეზი ისტორიკოსის კარიმ მერეტუკოვის წიგნში „ადიღეური ტოპონიმიური ლექსიკონი" (რუსულ ენაზე), რომელიც 1990 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, ადიღეს კვლევითი ინსტიტუტის გრიფით. აი, ამ წიგნში შავით თეთრზე სწერია, რომ მდინარე მარდას ველს ქართველთა ველი, ანუ ქართველთა დაბლობი ეწოდებაო. თვით მდინარის სახელწოდებას — მარდ, ერთგვარი დაეჭვებით განმარტავს ავტორი, მაგრამ თუ ამ მდინარის სახელს ქართულ სიტყვად გავიაზრებთ — მარდა, ე.ი. მარდი, სწრაფი მდინარე, მაშინ, ვგონებ საეჭვოც აღარაფერი დარჩება, მით უფრო, რომ სწორედ ამ მდინარის ველს ჰქვია ქართველთა ველი ანუ ქართველთა დაბლობი. მე ასე მესახება, მაგრამ თვითონ მდინარის სახელწოდებას კიდეც რომ დავანებოთ თავი, მისი ველი ხომ ჩერქეზების მიერ ქართველთა ველად და ქართველთა დაბლობად არის მონათლული. ქურჯ ნიბ, ასე ჰქვია მას ჩერქეზულად, რაც ითარგმნება, როგორც ქართველთა ველი და ქართველთა დაბლობი.

ზემოთ დამოწმებული ლეგენდისა, მშვენიერი ბელას შესახებ და ქურჯიფს — ქართველთა მდინარის, ანუ ქურჯიყ — დიდი ქართველის შემდეგ აქ რაღა უნდა იყოს გასაკვირი? მდინარე მარდას ადგილმდებარეობა. ეს მდინარე ტუაპსეს ჩრდილო-დასავლეთით, ქედს გადაღმა იღებს სათავეს და ზედ ქალაქ კრასნოდართან უერთდება კრასნოდარის წყალსაცავს ანუ მდინარე ყუბანს. აი, სად ყოფილა გაშლილი ქართველთა ველი ანუ ქართველთა დაბლობი!

ზემოთ ვთქვი, ამჯერად მხოლოდ სამ ჩერქეზულ წყაროს შევეხები-თქო, მაგრამ ამ ერთხელ უნდა გავტეხო სიტყვა.

ძველი ბერძენი ავტორების, ფლავიუს არიანესა და კლავდიუს პტოლემეოსის ცნობებით აწინდელი ტუაპსეს მიდამოებში, დაახლოებით 2000 წლის წინათ, არსებობდა დასახლება, რომელსაც ისინი ძველ ლაზიკას უწოდებენ. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ძველი ბერძნები ლაზიკას ეძახდნენ სამეგრელოს, ანუ ძველქართულად რომ ვთქვათ — ეგრისს, მაშინ ქართულად იმ დასახლების სახელი ძველი ეგრისი იქნებოდა. ცალკე საკითხია, რამდენი ხნის წინათ უნდა დაეარსებინათ ეს დასახლება ჩვენს წინაპრებს, რომ თითქმის ორი ათასი წლის წინათ მისთვის ძველი ლაზიკა, ანუ ძველი ეგრისი ეწოდებინათ, მაგრამ ამჯერად მე იგი გამახსენა მდინარე მარდამ და მისმა ქართველთა ველმა, ანუ ქართველთა დაბლობმა.

აი, ამიტომ არ არის მოულოდნელი ზედ კრასნოდარის გარეუბანში ქართველთა ველის ანუ ქართველთა დაბლობის არსებობა და გასაკვირი კი ნამდვილად არის, როგორ გაუძლო ამ ტოპონიმმა დაუსრულებელ ისტორიულ ქარტეხილებს.

განხილული სამი ჩერქეზული წყაროს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სამივე ჩერქეზთა შემეცნებას გამოხატავს, ე.ი. ეს წყაროები თვითონ ჩერქეზთა მოდგმის ცოდნასა და რწმენას გადმოგვცემენ, ანუ ეს წყაროები, აწინდელი ჩვენი მოყვარე მტრების მამაპაპათა საუკუნეების სიღრმიდან მოღწეული ლაღადია. სწორედ ამის გამო, მათი მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე ყველა სხვა არაჩერქეზული წყაროსი ამ საკითხზე, თუმცა ეს უკანასკნელნიც უაღრესად სანდონია და, არსებითად, იგივეს ამტკიცებენ, რაც [illegible] ცნობილი ისტორიოგრაფია.

რა თქმა უნდა, ამ სამი წყაროთი არ ამოიწურება ჩერქეზთა ცნობები საქართველოს შესახებ, მაგრამ მათზე დაყრდნობით, ვფიქრობ, სრულიად უეჭველი ჩანს შემდეგი დასკვნა: აწინდელი კრასნოდარის მხარის დიდი სოჭის რაიონი, ანუ ტერიტორია მდინარე ფსოუდან ვიდრე ტუაპსეს სანახებამდე და, თუ მეტი არა, ამავე მონაკვეთში მაინც, კავკასიონის მთავარი ქედი, ჩრდილო კალთებით, ჩავაკებამდე, ვიდრე ქალაქ კრასნოდარამდე, უძველესი დროიდან XV საუკუნემდე საქართველოს ტერიტორიას შეადგენდა და ეს მხარე ქართული ტომებით იყო დასახლებული.

აქვე აღვნიშნავ, განხილული ჩერქეზული წყაროები არსებითად იგივე აფსუური წყაროებია, რადგან აფსუა ერთ-ერთი ჩერქეზული ტომია, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს დღეს ამ გადამთიელებმა.

ახლა, ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, მკითხველმა თავად განსაჯოს, ამ ჩერქეზული წყაროების თანახმად, ვის ეკუთვნოდა აფხაზეთი ისტორიულად და ვინ ყოფილა აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა უძველესი დროიდან.

ამ ჩვენს აფხაზეთის მოცილე ვაჟბატონებს ვურჩევ, თავიანთ მამა-პაპათა წყაროთა ლაღადს მიაპყრონ გულისყური და მტერ-მოყვარე გაარჩიონ.

და ბოლოს, ამ დასკვნების გამო, ნურავინ იფიქრებს, თითქოს განგაშის ატეხვას ვაპირებდე, არიქა, ყუბანიც ჩვენი ყოფილა და, აბა, ჰე, მოვითხოვოთ მისი დაბრუნებაო. არა! ისტორიას თავისი კანონები აქვს. ის მიწა, რომელიც, ჟამთა სიავის გამო საუკუნეების წინათ დავკარგეთ, ვგონებ, ჩვენი აღარასოდეს გახდება, თუნდაც იქ ქართველთა მდინარე მიედინებოდეს და ქართველთა ველი იყოს გაშლილი, მაგრამ ეს მიწა, რომელიც ოდითგან საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო, და, ეს მიწა, სადაც ოდითგან ქართველობა მკვიდრად ცხოვრობდა და ცხოვრობს, მიწა, რომელსაც ძირძველი ქართული სახელი აფხაზეთი ჰქვია, ვითარცა დასაბამიდან იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ასევე იქნება საუკუნოდ, ვიდრე საქართველო იდღეგრძელებს!

დასასრულ იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ წერილით (და საერთოდ!) სრულებით არ ვილაშქრებ აფსუათა აფხაზეთში და, თუ ინებებენ, საქართველოს ნებისმიერ სხვა მხარეში ცხოვრების წინააღმდეგ. ამ წერილით მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რაც გენიოსმა სულ ორიოდე სიტყვით გამოთქვა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ასე გამწელდა სათქმელი და მაინც კი ისე ვერა ვთქვი, როგორც ლექსის ღმერთმა ბრძანა:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება."



## მამუკა გივის ძე გარათაშვილი

დაიბადა ქ. თბილისში 1965 წლის 30 იანვარს.

საქართველოს გმოლვიძების ზარმა რომ ჩამორეკა, იმ ვაჟკაცთა რიგებში ჩადგა, ვინც მუდამ იქ იყვნენ, სადაც სამშობლოს უჭირდა. იგი იბრძოდა სამაჩაბლოსა თუ ფოთში, წალენჯიხასა თუ აფხაზეთში, სადაც ამა წლის 30 აგვისტოს შეტევის დროს მან და მისმა თანამებრძოლებმა მოძხვდურთა წინააღმდეგ განახორციელეს ღრმა რეიდი, რომლის დროსაც უმუხლთა ბედმა — ბრმად მოხვედრილმა ტყვიამ დასცა იგი ძირს — საყვარელ ქართულ მიწაზე.

მამუკას ჯიბეში, გულთან ახლოს ნახეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რუქიდან ამოჭრილი საქართველოს ტერიტორია...

მარადი იყოს შენი სახელის დიდება, მამუკა. გწამდეს, ახდება შენი ოცნება და გაბრწყინდება თავისუფალი საქართველო.

მეგობრები

# მცირე, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო შეხსენება

მაშინ, როდესაც ბატონი ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში 1991 წლის აგვისტოს უმძიმეს დღეებში „თეთრი სახლის“ წინ ბარიკადებზე დემოკრატიის დამცველებს მხარში ამოუდგა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომამ „განიხილა სსრკ ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხი“. დოკუმენტში ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება, რაც ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების მოწესრიგებასა და კანონიერებების განმტკიცებას ითვალისწინებს.

ბიურომ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს რესპუბლიკას მხოლოდ სიმშვიდე, საგანგებო კომიტეტისადმი მხარდაჭერა, ყველა ეროვნების შრომელთა ერთიანობა და დაუღალავი შრომა გამოიყვანს უმძიმესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარებიდან“.

ალბათ არც ისე ძნელი უნდა იყოს ამ დოკუმენტის მიმღები ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს პერსონალური შემადგენლობის დადგენა, რომელთაგანაც უმრავლესობა ჯერ კიდევ 9 აპრილის დღეებში ტაშ-გრიალით მიესალმა საბჭოთა გენერლების კოჩეტკოვისა და როდიონოვის გამოჩენას ცკ პლენუმის თუ პარტაქტივის დროს.

ამას იმიტომ შეგახსენებთ, რომ არც მომავალ პარლამენტს და არც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც მე მხარს დავუჭერ, ეს „ამხანაგები“ საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებისა და სამართლებრივი საზოგადოების მშენებლობაში არ გამოადგებათ.

თენგიზ შატბერაშვილი

# სახაბაზოებს აწყდება ხალხი

მძიმე დღეები უდგას საქართველოს. ქალაქში მომრავლდნენ ათასი ჯურის სხვადასხვა მათხოვრები, ქუჩები აივსო სხვადასხვა წვრილმანით მოვაჭრე ხალხით. ეს ჩვენს დუხჭირ ეკონომიკურ ცხოვრებაზე მიგვითითებს. დალხინებული კაცი ქუჩაში, სიგარეტისა თუ საპნის გასაყიდად არ გამოვა. ამ ყველაფერს დაერთო გაუთავებელი რიგები პურზე, რომელიც ბევრისთვის ერთადერთი ყოველდღიურად საკვები, ფასით ხელმისაწვდომი პროდუქტია. მაღაზიებთან თუ სახაბაზოებთან დილიდან საღამომდე, საათობით დგანან და უცდიან თავიანთ რიგს. ეს რიგები მძიმე ტვირთად აწევს ადამიანს. ოთხი — ხუთი საათის რიგში დგომის შემდეგ რომ პურს აიღებს, მისი ჭამის თავიც კი აღარა აქვს ფიზიკურად თუ მორალურად დაღლილ ადამიანს. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც რიგში დგომა არ სჭირდებათ, ისე აღწევენ საწადელს. ამასწინათ ასეთ სურათს შევესწარი: პურის ქარხანასთან (რომელიც ელექტროდეპოსთან მდებარეობს) მივედი პურის საყიდლად. იქ სამი სახეობის პური იყიდება სამ ადგილას. სამივეგან დიდი რიგი იდგა. მეც ჩავდექი.

ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე — ეზოში შემავალ კარს დროდადრო მიადგებოდნენ ფორმიანი თუ უფორმო ადამიანები, დააბრახუნებდნენ, კარი იღებოდა, იქიდან კი პურით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ.

მივედი კართან და დარაჯს ვკითხე:

— კი, მაგრამ, მათთვის რიგი არ არსებობს, ასე რომ უშვებთ?

— ისინი ფორმით არიან, ურიგოდ ეკუთვნით, — მიპასუხა დარაჯმა.

— უფორმონიც რომ ბევრი შემოდიან და სავსე ჩანთები გამოაქვთ, ეს რაღას ნიშნავს? — შევეპასუხე.

დარაჯმა ხმა არ გამცა, კარები მომიჯახუნა.

გაწბილებული დავბრუნდი ჩემს ადგილზე. ნუთუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამ გაუთავებელ უსამართლობას? კარგი, დავუშვათ და ფორმიან ხალხს ეკუთვნის, მაგრამ ნაცნობობით მაინც ნუღარ გაატანენ. საათობით რიგში რომ დგას კაცი და ხედავს, მავანნი და მავანნი ურიგოდ, გაურჯელად იღებენ პურს — ეს საშინლად მოქმედებს მის ფსიქიკაზე.

ამასწინათ ტელევიზიით ერთ-ერთი პურის ქარხნის დირექტორი ირწმუნებოდა, პური საკმაოზე მეტი რაოდენობის ცხვებაო; მაშ, რაშია საქმე, რას მოასწავებს ეს გაუთავებელი რიგები?

დროა, ვისაც ეს საქმე ევალება, სერიოზულად დაფიქრდეს და რაიმე იღონოს მის გამოსასწორებლად. ეგებ სჯობდეს საბარათო სისტემა დავაწესოთ პურზე, ან იქნებ სხვა საშუალება გამოვნახოთ მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ეს საქმე სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, თორემ ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვაგდებთ, ეს კი, ვინ იცის, სადამდე მიგვიყვანს...

ნათია ბოჭორიშვილი





რას შვრები ...ენგიზ, კენჭს ხომ არ იყრი?

— დამანებე, თუ ძმა ხარ, თავი! ვიცი, ამ კენჭის ყრას მერე ქვა და ლოდი მოჰყვება!

* * *

ამ ნომერში წარმოდგენილი კარიკატურების ავტორია მურთაზ აბაშიძე, ხოლო ფოტოსურათები ეკუთვნის ჯემალ კასრაძეს.

# რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (25.09.92 წ.) გამოქვეყნდა ინტერვიუ ბატონ გიორგი ხაინდრავასთან, რომელიც ჩაიწერა ჟურნალისტმა კობა ლიკლიკაძემ.

ინტერვიუს წარდგენის ნაწილში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები. კერძოდ:

1) კინორეჟისორის ნაცვლად უნდა ეწეროს კინოოპერატორი.

2) დაბადების თარიღად 1957-ის ნაცვლად უნდა იყოს 1956 წელი.

3) გიორგი ხაინდრავას არ მინიჭებია საერთაშორისო ჯილდო საუკეთესო ოპერატორობისათვის, არამედ სურათმა „ურგა“, რომლის შექმნაში გ. ხაინდრავა მონაწილეობდა გარკვეულ ეტაპზე, მიიღო ვენეციის ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „ოქროს ლომი“.

4) სტუდია „მტს“-ის დირექტორის ნაცვლად უნდა ეწეროს სტუდია „ტმს“-ის სამხატვრო ხელმძღვანელი.

5) და რაც მთავარია, ბატონი გიორგი ხაინდრავა 11 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს როგორც უპარტიო კანდიდატი და არ არის რესპუბლიკური პარტიის, ან რომელიმე სხვა პარტიის წევრი.

აღნიშნული შეცდომების გამო რედაქცია ბოდიშს უხდის რესპონდენტს, ხოლო ჟურნალისტი გაფრთხილებულ იქნა.


## განცხადება

ფირმას ესაჭიროება მბეჭდავი-მემანქანე.

ტელეფონები: 29-48-61, 29-48-60



ინდექსი 66447

ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი